**სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

**შმაგი მაისურაძე**

# ქსნის ხეობის

# ოსური მოსახლეობა მე-18საუკუნესა და

# მე-19 საუკუნის დასაწყისში

*სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია*

*ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე*

*საქართველოს ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*

*მოსაპოვებლად*

**ხელმძღვანელი: დავით ახლოური**

**ასოცირებული პროფესორი**

გორი

2020

## ანოტაცია


წინამდებარე ნაშრომში საუბარია ქსნის ხეობაში (ახალგორის მხარე) ოსური მოსახლეობის დამკვიდრებასა და კომპაქტური დასახლებების შესახებ.

დღევანდელი გარემოებებიდან გამომდინარე,როდესაც სხვადასხვა ძალების მიერ აქტიურად მიმდინარეობს ისტორიის გაყალბებადა ისე წარმოჩენა, თითქოს ე.წ „სამხრეთ ოსეთი“ და მასში გაერთიანებული ახალგორის მხარე წარმოადგენს ოსური ეთნოსის უძველეს სამკვიდრო არეალს, მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ გამოგვეკვლია აღნიშნული ხეობა მე-18, მე-19 საუკუნეების მიჯნაზე, ეთნიკური თვალსაზრისით.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ დაგვეზუსტებინა ოსური მოსახლეობის დამკვიდრების დრო აღნიშნულ ხეობაში და დოკუმენტური მასალის საფუძველზეკონკრეტული ციფრებით წარმოგვედგინა მათი რაოდენობა. განვიხილეთ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის ოსების საკომლო მამულების ნუსხა, იოანე ბატონიშვილის 1803 წლის ქსნის საერისთავოს აღწერა და 1804 წელს ჩატარებული პირველი რუსული კამერალური აღწერის მონაცემები.

ნაშრომში თანმიმდევრულად განვიხილავთ და შევეხებით ქსნის ხეობის წარსულს, ცხოვრების პირობებს, ვისაუბრებთ ქსნის საერისთავოს შესახებ. მოკლედ მიმოვიხილავთ ქართულ ეთნოგრაფიულ კუთხე დვალეთს, საიდანაც განხორციელდა ოსური მასის ქართლის მთიანეთში დამკვიდრება და რომელიც დღესდღეობით საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს იქით მდებარეობს. აგრეთვე ვისაუბრებთ ქართლის მთიანეთში ოსური ახალშენების შექმნაზე და უფრო დეტალურად განვიხილავთ ქსნის ხეობას და მის შენაკადებს:ჟამურს, ქარჩოხს, ჭურთას, ცხრაზმას, ალევს, სადაც ოსური ეთნიკური ელემენტის დამკვიდრება შედარებით გვიან განხორციელდა.

Sh.Maisuradze

# Ossetian population of Ksani Gorge in the 18th and early 19th centuries

## Annotation

This paper discusses the settlement of the Ossetian population in the Ksani gorge (Akhalgori region) and compact settlements.

In the current circumstances, when history is being actively falsified by various forces and it is presented as if the so-called "South Ossetian" and the Akhalgori region united in it is the ancient heritage site of the Ossetian ethnos, we have considered the gorge at the turn of the 18th and 19th centuries. , In ethnic terms.

Due to the urgency of the issue, we considered it necessary to specify the time of the settlement of the Ossetian population in the valley and based on the documentary material, we presented their number in specific numbers. We have discussed the list of Ksani Ossetian households of the second half of the 18th century, the description of Ioane Batonishvili's 1803 Saeristavo of Ksani and the data of the first Russian chamber census conducted in 1804.

In the paper we will consistently discuss and touch on the past of Ksani gorge, living conditions, we will talk about Saeristavoof Ksani. We will briefly review the Georgian ethnographic corner of Dvaleti, from where the Ossetian masses settled in the Kartli Mountains and which is currently located beyond the northern border of Georgia. We will also talk about the creation of Ossetian new settlements in the Kartli highlands and discuss in more detail the Ksani gorge and its tributaries. There are Jamuri, Karchokhi, Tschurta, Tskhrazma, Alevi Where the establishment of the Ossetian ethnic element was carried out relatively late.

## სარჩევი


შესავალი ..... 5

თავი I. ქსნისხეობა (ზოგადი მიმოხილვა) ..... 7

თავი II. ქსნისსაერისთავოსისტორიიდან ..... 13

თავი III. დვალეთი ..... 17

თავი IV. ოსური ახალშენები ქართლის მთიანეთში ..... 25

თავი V. ქსნისხეობისოსურიმოსახლეობა ..... 35

ა) ჟამური ..... 42

ბ) ქარჩოხი ..... 50

გ) ცხრაზმა ..... 53

დ) ჭურთა ..... 56

ე) ალევი ..... 65

დასკვნა ..... 73

გამოყენებულილიტერატურა და  წყაროები ..... 75

# შესავალი

დღესდღეობით ქსნის ხეობა (ახალგორის მხარე), რომელიც ისტორიულად ქართული რეგიონია და რომლის ავტოქტონ მოსახლეობას უძველესი დროიდან ქართველები წარმოადგენენ, ვერ კონტროლდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ. იქ დამყარებულია „განსაკუთრებული“ რეჟიმი. ძირძველი ქართული მოსახლეობის უმრავლესობა დევნილადაა ქცეული, ხოლო ადგილზე დარჩენილნი უიმედო მდგომარეობაში არიან. აქტიურად მიმდინარეობს ისტორიული ფაქტების გაყალბება და წარმოჩენა, თითქოს ქსნის ხეობა ოდითგანვე ოსი ერის საცხოვრებელ რეგიონს წარმოადგენს და სამართლიანად არის მიკუთვნებული ე.წ „სამხრეთ ოსეთს“.

1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, რომლის შემადგენლობაში სრულიად უსამართლოდ მოექცა ახალგორის რაიონი, ისევე როგორც თვითონ ოლქი იყო (ახლანდელი ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა) გაუმართლებელი მიზეზებით შექმნილი. იგი ადმინისტრაციულად 1990 წლის 11 დეკემბრამდე დარჩა ოლქის დაქვემდებარებაში, იქამდე, სანამ საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არ გააუქმა აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეული. საქართველოს უკანასკნელ ფართომასშტაბიან კონფლიქტს რუსეთის ფედერაციასთან, რომლისკულმინაცია იყო2008 წლის აგვისტოს ომი, მოჰყვა ქართული მიწა-წყლის (მათ შორის ისტორიული ქსნის საერისთავოს უდიდესი ნაწილის) ოკუპაცია, რის შემდეგაცახალგორის მხარედარჩასაქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს მიღმა.

ამ ეტაპზე ქსნის ხეობა, კონკრეტულად კი ახალგორის რაიონი მოქცეულია ე.წ „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში. იქ განთავსებულია რუსულ-ოსური სეპარატისტული ძალები. შექმნილია სამხედრო ბაზები, ქართველების სახლ-კარს დაპატრონებულები არიან ოკუპანტები, აქტიურად იცვლება ქართული ტოპონიმები.

ძირითად ნაწილში განვიხილავთ ქსნის ხეობას, შევეხებით მის ისტორიულ და პოლიტიკურ წარსულს. მოკლედ მიმოვიხილავთ ქართულ ეთნოგრაფიულ კუთხე „დვალეთს“, რომელიც ოსებისთვის ერთგვარი პლაცდარმი გახდა ქართლის მთიანეთში დასახლების საქმეში. ვისაუბრებთ ოსების მიერ ქართლის ხეობების ეტაპობრივად ათვისებაზე. გამოვიკვლევთ ქსნის ხეობის ოსურ მოსახლეობას და კონკრეტული ციფრებით ავსახავთ მათ კომლობრივ და სულადობრივ რაოდენობას მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, რაშიც უდიდეს დახმარებას გაგვიწევს სხვადასხვა დროს ჩატარებული აღწერები, მათ შორის: 1803 წელს იოანე ბატონიშვილის მიერ ჩატარებული საუფლისწულოს აღწერა და 1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერა, რომელიც განხორციელდა რუსული ხელისუფლების ზედამხედველობით.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, საკითხი მეტად აქტუალური და საყურადღებოა. კვლევის მიზანია ქსნის ხეობის ზედა წელზე მე-18 საუკუნის და მე-19 საუკუნის დასაწყისში ოსური მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, შეკრება და წარმოდგენა. ნაშრომში განვიხილავთ დროის აღნიშნულ მონაკვეთში თუ როგორ იცვლებოდა ოსური მოსახლეობის რაოდენობა.

ბუნებრივია ვაცნობიერებთ რა, რომ აღნიშნული ნაშრომი ვერ იქნება დაზღვეული ნაკლოვანებებისგან. ჩვენ შევეცდებით მომავალშიც გავაგრძელოთ აღნიშნული მიმართულებით კვლევა, სადაც გავიზიარებთ თითოეულ შენიშვნას.

## თავი I.ქსნისხეობა (ზოგადი მიმოხილვა)

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული წარსულითა და მატერიალური კულტურის ძეგლებით, ქსნის ხეობა შიდა ქართლის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა. მისი რელიეფი მრავალფეროვანია. ზემო მხარე მთაგორიანია, ლამაზი ტყით მოსილი, მწვერვალები კი ალპური მდელოთი ამწვანებული. ქვემო მხარე წარმოადგენს დიდ ვაკეს, სადაც გაშლილია მუხრანის ველი ნაყოფიერი ბაღ-ვენახებით.[1]

ვახუშტი მდინარე ქსანს შემდეგნაირად ახასიათებს: „მდინარე ქსანი მოემართება ოძის ზევით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლეთით, ხოლო გამოდის ქნოღოდან, უმურის კავკასიის შუაში. [ის] აღმოსავლეთისკენ მიედინება ქარჩოხამდე, ქარჩოხის ქვევით. სამხრეთით, გაივლის მუხრანს და უერთდება მტკვარს“.[2]

„ქსნის სათავე კავკასიის მთებშია და შედგება სამი ხეობისაგან-ჭურთის, ჟამურ-ქარჩოხისა და ცხრაზმისგან. ქარჩოხისა და ცხრაზმის ხეობები თავიანთი შენაკადებით ერთდებიან ლარგვისის ზემოთ, ხარბალთან. ლარგვისთან ერთდება მისი მესამე შენაკადი - ჭურთას

[1]სერგი მაკალათია, ქსნის ხეობა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968. გვ. 3.

[2]ბატონიშვილი ვ., საქართველოს სამეფოს აღწერა, ნაწილი პირველი, თბილისი, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივერიონი“, 2012, გვ.269

წყალი. მდინარე ქსანი გაივლის მუხრანის ვაკეს და სადგურ ქსანთან უერთდება მტკვარს.[3]მთის სამივე ხეობა კარგად იყო გამაგრებული ციხე-კოშკებით და საუკუნეების მანძილზე საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა როგორც ქსნის ერისთავებისთვის, ისე საქართველოს სამეფო კარისთვის.

ხეობა მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით, ციხე-კოშკებითა და სხვადასხვა მატერიალური კულტურის ძეგლებით. ქსნის საერისთავოს გულს ქსნის ხეობა წარმოადგენდა. აქედან მიიღო სახელი საერისთავომ.

„ქსნის ხეობას თავისი ცენტრალური მდებარეობის გამო, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შიდა ქართლისა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში. ქსანსა და მის დასავლეთით მდებარე ხეობებში წარმოიშვა ქსნის საერისთავო - ფეოდალური საქართველოს სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც მართავდა მეფის მიერ დანიშნული ერისთავი. ქსნის ხეობა გამოირჩეოდა მაღალი კულტურულ-ეკონომიკური განვითარებით, რაზეც მიუთითებს მდიდარი არქეოლოგიური აღმოჩენები (საძეგური, ყანჩაეთი, ახალგორი, ალევი, ნასტაკისი, აღაიანი), შუა საუკუნეების არქიტექტურის პირველხარისხოვანი ძეგლები (წირქოლი, ყანჩაეთი, არმაზი, ხოფა, ლარგვისი, ქარჩოხი, ქოლოთი, ცხავატი) ადგილობრივ ფეოდალთა შესანიშნავი საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ შექმნა (XIV ს.); ქსნის ერისთავთა დიდი ხვედრითი წონა საქართველოს სამეფოში და ა.შ”.[4]ხეობის მთავარი მდინარე არის ქსანი, რომელსაც თან ერთვის სხვადასხვა შედარებითპატარა ხევები.

ქსნის ხეობას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება არაგვის ხეობა, დასავლეთიდან ლეხურას ხეობა, სამხრეთიდან მტკვარი, ხოლო ჩრდილოეთით ჟამურ-ლომისის ქედი. ქართლის სამეფოსთვის აღნიშნულ ხეობას სტრატეგიული ადგილმდებარეობა ეკავა და ყოველთვის განსაკუთრებული ყურადრება ექცეოდა. ხეობის მნიშვნელობაზე სამართლიანად ამახვილებდა ყურადღებას  დ. გვრიტიშვილი „იგი ერთის მხრივ, იმიერკავკასიიდან მომავალ გზებს უყრიდა თავს, ხოლო მეორეს მხრივ, ძნელბედობის

[3]მაკალათია ს., ქსნის ხეობა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968.გვ. 3-4
[4]გვასალია ჯ., ქართლის ხეობათა შედარებითი სწავლებისთვის („ქსნური ფენომენი“) თბ. 1998

ჟამს ბარად დამარცხებულ ქართლელთა თავშესაფარს წარმოადგენდა“[5]. მოგეხსენებათ გზებს რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნებისმიერ ეპოქაში. ქსნის ხეობა იყო ასე ვთქვათ ამ გზების შემკრები წერტილი, რომელიც ჩრდილო კავკასიიდან მოემართებოდნენ. გვიან ფეოდალურ ხანაში ქართულ-რუსული ურთიერთობები ძირითადად ხეობაზე გამავალი გზებით ხორციელდებოდა.ხეობა თავისი წვრილ-წვრილი შენაკადებით (ქარჩოხის ხევი, ჭურთის ხევი, ცხრაზმის ხევი, ალეურა,...) დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს ახალგორის და მცხეთის რაიონებს, რომელიც ისტორიულად შედიოდა ცხრაზმის, ხოლო მოგვიანებით (ქსნის საერისთავოს) და სამუხრანბატონოს შემადგენლობაში.

რაც შეეხება ქსნის ხეობის ეკონომიკურ და სამეურნეო სურათს...

ჯ.გვასალიაცხაზსუსვამდახეობისმნიშვნელობასმასზეგამავალიგზებისგამო. „ქსნისხეობისსოციალურ-პოლიტიკურიძლიერებაგანპირობებულიიყომისიეკონომიკურიგანვითარებით, რაცთავისმხრივეყრდნობოდახეობისმრავალმხრივბუნებრივპირობებს: სუბალპურიდაალპურისაძოვრებიშეადგენდნენინტენსიურიმეცხოველეობისგანვითარებისსაფუძველს; ნაყოფიერიზეგანიანუმთისწინეთიდაბარიგარკვეულისამეურნეო (მათშორისსაირიგაციო) ჩვევებისარსებობისპირობებშიგანაპირობებდამემინდვრეობის, მევენახეობა-მებაღეობისგანვითარებას. ქსნისხეობისთვისგარკვეულიმნიშვნელობაჰქონდამისსიახლოვესმაგისტრალთან, რომელიცჩრდილოკავკასიასაკავშირებდამახლობელაღმოსავლეთთან.[6]

ქსნის ხეობა სამეურნეო თვალსაზრისით იყოფა მთის და ბარის რეგიონად. ხეობის ქვედა წელი ახალგორამდე მიეკუთვნება ბარის რეგიონს სადაც გაშლილი მინდვრები და ბაღ-ვენახებია. ახალგორიდან ლარგვისამდე მონაკვეთი მთისწინეთია, ხოლო ლარგვისიდან ჩრდილოეთით მთიანი ზონა, სადაც მწირია მიწის ნაკვეთები და მოსახლეობა ძირითადად მისდევს მესაქონლეობას. მიწათმოქმედება მეორე ხარისხოვანია.

[5]გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955, გვ.65

[6]გვასალია ჯ., ქართლის ხეობათა შედარებითი სწავლებისთვის („ქსნური ფენომენი“) თბ. 1998

ვახუშტის დახასიათებით „ზებეყურის მთის თავი უტყეოა, ხოლო კალთები - ტყიანი. ეს მთა ცხვირივით არის ჩამოგრძელებული ქსანში დასავლეთიდან და ალევის მთის ცხვირი - აღმოსავლეთიდან, [ამიტომ] ავიწროებს კლდეებით ქსანს. ამ კლდის ქვევით მტკვრამდე ქსანი არის ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, როგორც სხვათა [შესახებ] აღვწერეთ, ხოლო ამ კლდის ზევით [არის] ვიწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი მოსავლითა და ტყიან-კლდიანობით [ისეთი], როგორც სხვა მთის ადგილები“.[7]

ვახუშტის დახასიათებიდან ჩანს, რომ ალევის მთის სამხრეთით ნაყოფიერი ადგილებია, ხოლო ჩრდილოეთით უნაყოფო ისევე, როგორც სხვა მთის ადგილები მწირი მოსავლით. იგი ქსნის, ცხრაძმის, ჭურთის, ჟამურის, ალევის ხეობებს ახასიათებს, როგორც ვიწრო, ტყიან-კლდიანი და მცირე მოსავლიანი.

გ.ჩიტაიას აზრით „ქსნის ხეობაში მოცემული იყო ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგორამდე), მთის ძირის (დაახლოებით ლარგვისამდე) და მთის ზოლისა (ლარგვის ზევით)“.ამასთან „ქსნის ხეობის მთის ზოლში ტიპიური ალპური ლანდშაფტის მეურნეობა იყო. მთის ზოლის პირობებში სახნავი მიწის მეტისმეტად  სიმცირის გამო მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში იძულებული იყო ბუნებისგან გამოეგლიჯა საყანედ გამოსადეგი მიწის თითოეული ნაკუწი: მას წინასწარ უნდა აეკრიფა ქვები, მოეზიდა მიწა, პატივი და შემოეყარა. ასეთ პირობებში მიწის ღრმად მოხვნას შესაძლოა გამოეწვია ნიადაგის ჩამოწოლა და „დედომიწის“ გაშიშვლება. როგორც ირკვევა ძველი ნაშთების მიხედვით, ნიადაგის ჩამოწოლის წინააღმდეგ აქ ზომები ჰქონიათ მიღებული“.[8]

„ქსნის ხეობაში ოჯახის ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რომელთა განვითარების დონე განისაზღვრებოდა ხეობის გეოგრაფიული მდებარეობით და სამეურნეო პირობებით“.[9]

---

[7]ბატონიშვილი ვ., საქართველოს სამეფოს აღწერა, ნაწილი პირველი, თბილისი, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივერიონი“, 2012, გვ.269

[8]ჩიტაია გ., ქსნური მთის გუთანი, „ენიმკის მოამბე“, ტ. V-VI, თბილისი, 1940. გვ 484-486

[9]ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974, გვ.78

ხეობაში ქართველების გვერდით დამკვიდრებული ოსები მსგავს პირობებში იმყოფებოდნენ. მეურნეობის თვალსაზრისით ძირითადად უფრო მესაქონლეობას ენიჭებოდა პრიორიტეტი, ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით.

„ქსნის ხეობის ქართველ მთიელთა ყოფაში, ისევე როგორც მათ მეზობლად მცხოვრებ ოსთა ცხოვრებაში, მეურნეობის ძირითადი დარგები იყო, მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, ხოლო შემოსავლის დამხმარე წყაროს წარმოადგენდა შინამრეწველობა. ქსნის ხეობის მთიან ზოლში მიწათმოქმედება მეტად შეზღუდული იყო და მოსახლეობის მინიმალურ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ პურის მარაგის შევსების მთავარი წყარო იყო მესაქონლეობის პროდუქცია და საქონლის ნამატი, რის გამო წამყვანი ადგილიც მესაქონლეობას ეჭირა“.[10]

დ.გვრიტიშვილი შენიშნავდა, რომ „ქსნის საერისთავოს მთიან ზოლში მემინდვრეობა ნაკლებად იყო განვითარებული. აქ ის მხოლოდ დამხმარე ხასიათს ატარებდა, ხოლო მეურნეობის ძირითად დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა“. იგი საერისთავოს დახასიათებისას განსაკუთრებით უსვამდა ხაზს მესაქონლეობის მნიშვნელობას. „ქსნის საერისთავოს გეოგრაფიულ თავისებურებათა გამო მესაქონლეობას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. საერისთავოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მართალია მემინდვრეობისათვის ხელსაყრელი არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ, საქონლის საძოვრებისთვის გამოდგებოდა. ცხვრის საზაფხულო იალაღებისთვის საუკეთესო ადგილები იყო ქარჩოხის, ჭურთის, ჟამურისა და მაღრან-დვალეთის სანახები. ზამთარში კი საერისთავოს ბარის ზოლში (იკოთი, ოძისი, ლამისყანა, თეზი, მეჯვრისხევი) უხვად იყო საზამთრო საძოვრები.[11]

მართალია ავტორის დახასიათება სცდება გეოგრაფიულად ჩვენთვის საინტერესო არეალს, ე.ი ქსნის ხეობას და მოგვითხრობს მთლიანად ქსნის საერისთავოზე, მაგრამ მაინც ნათლად იკვეთება „ქარჩოხის, ჭურთის, ჟამურის“ ხეობებში თუ რა სახის

[10]ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974, გვ.86
[11]გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955, გვ.151-157

მეურნეობას ჰქონდა განვითარების პოტენციალი. იქ საქონლისთვის და განსაკუთრებით ცხვრისთვის, შესანიშნავი ალაგები ყოფილა.

ვახუშტის ნაშრომზე დაყრდნობით გ.თოგოშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქსნის ხეობის ზემო წელზე, ზებეყურის კლდის ჩრდილოეთით, ჟამურის, ქარჩოხის, ცხრაზმის ხეობებში მოსახლე ოსების მიწა ისეთივე უნაყოფო და მცირე მიწიანია, როგორც ოსეთში. ამ მხარის მცირე მიწიანობა და კლდოვანება არ იძლევა საშუალებას მარცვლეული კულტურების საკმაო რაოდენობით დათესვისათვის.[12]

ამრიგად, თუ შევხედავთ ზემოთ მოყვანილ ავტორთა მიერ ხეობის აღწერა-დახასიათებას, ისინი ამომწურავად პასუხობენ კითხვს. როგორი იყო ქსნის ხეობა სამეურნეო თვალსაზრისით და რა ძირითადი გზები არსებობდა ეკონომიკური განვითარების მხრივ. ქსნის ქვედა წელი მიწათმოქმედებისთვის და მეხილეობა-მემინდვრეობის განვითარებისთვის კარგ პირობებს იძლეობა, ხოლო ზემო წელზე (ახალგორის მხარე) ძირითადად მესაქონლეობა ყვაოდა, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე.

[12]თოგოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1969, გვ.69

## თავი II. ქსნისსაერისთავოსისტორიიდან

ქსნის საერისთავოს ძველი და მდიდარი ისტორია გააჩნია. „საერისთავო იყო ფეოდალური საქართველოს სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული. ადრინდელ ფეოდალურ ხანაში, ქსნის ხეობაში ორი ადმინისტრაციული ერთეული იყო: ქსნისხევი (ცენტრი ყანჩაეთ-წირქოლი) და ცხრაძმისხევი (ცენტრი ლარგვისი). X საუკუნიდან დაიწყო ცხრაძმისხევის აღზევება, რეზიდენცია ლარგვისიდან ქვენიფნევში იქნა გადატანილი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, თამარ მეფის შემდეგ, ქართლი და ქსანი ცალ-ცალკე

საერისთავოები იყო. მონღოლთა ბატონობის დროს დასტურდება ცხრაძმისხევის ერისთავი. XIII-XIV საუკუნეებში მათ საგრძნობლად გაიფართოვეს საზღვრები. დაისაკუთრეს მიწები, აგრეთვე, ქართლის ვაკის მიმართულებით. XV საუკუნის დასაწყისიდან ქსნის საერისთავო ფაქტობრივად ერისთავების მამულად ანუ სათავადოდ გადაიქცა. XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ერისთავებმა რეზიდენცია ახალგორში გადაიტანეს, ხოლო საგვარეულო სამარხი ლარგვისიდან იკორთაში. ამავე პერიოდში ხეობის მფლობელთა გვარი - ქვენიფნეველი ქსნის ერისთავად შეიცვალა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქსნის საერისთავოს ვრცელი ტერიტორია ეჭირა. მასში შედიოდა ქსნის, ალევის, ჭურთის, ცხრაძმის, ქარჩოხის, ჟამურის, ქოლოთ-ქვიტკირის, ისროლის, მეჯუდის, პატარა ლიახვის ხეობები, მაღრან-დვალეთი და გვერდისძირი".[13]

წყაროებში ტერმინი „ქსნის საერისთავო" გვხვდება მე-17 საუკუნიდან. იგი მემკვიდრეა მანამდე არსებული ცხრაზმის საერისთავოსი. დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული წყაროები არ იძლევა ზუსტ განსაზღვრებას საერისთავოს ზუსტი წარმოშობისა და ერისთავების წარმომავლობაზე. სხვადასხვა წყაროები და ავტორები გვთავაზობენ განსხვავებულ ვერსიებს.

„გადმოცემით, საერისთავო პირველად შვიდი ხეობისგან შედგებოდა და ატარებდა ცხრაძმის საერისთავოს სახელს, ხოლო ერისთავებს ცხრაძმის ხევის ერისთავები ეწოდებოდათ"[14]

„ძეგლი ერისთავთა" რომელიც  წარმოადგენს ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანეს და რომელიც დაიწერა ლარგვისში XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე,პირდაპირ მიგვითითებს ერისთავების ოსურ წარმომავლობასა და საერისთავოს შექმნის თარიღზე, ახ.წ მე-6 საუკუნეში. მისი შექმნა როსტომს უკავშირდება, რომელიც იყო ოსთა სამეფო სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენელი და შინა აშლილობის შედეგად იძულებული

[13]ხარაძე კ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, თბილისი, 2003, გვ.190

[14]გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955, გვ.68

გახდა გამოქცეულიყო ოსეთიდან და დამკვიდრებულიყო ქსნის ხეობაში. მისთვის ერისთავობა უბოძებია იმპერატორ იუსტინიანეს.

იმავე აზრს იზიარებს ვახუშტიც და ამბობს: „ საერისთავოს შექმნა უკავშირდება როსტომს, რომელიც ოსეთიდან იყო გადმოსული. საერისთავოს ცენტრი იყო ქვენიფნევი ხოლო ერისთავთა საძვალე მდებარეობდა ლარგვისში. ცხრაზმის საერისთავოს გაძლიერებას და გაფართოვებას  მოჰყვა ერისთავის რეზიდენციის ქვენიფნევიდან ახალგორში გადატანა, რის შემდეგაც წყაროებში გვხვდება შეცვლილი ტერმინი „ქსნის საერისთავო“

ძველ  ქართულ ისტორიოგრაფიაში ერისთავობის დაწესებას ფარნაოზს მიაწერენ. ლეონტი მროველი წერდა: ფარნავაზმა „განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“[15].

ვახუშტი წერს საერისთავოების შესახებ, თუმცა ჩამოთვლილ რვა საერისთავოდან ქსნის არც ერთი არ არის. აღნიშნული ტერიტორია შედიოდა  ქართლის საერისთავოში, რომელიც სხვა ყველა საერისთავოზე უპირველესი იყო და მოიცავდა შიდა ქართლს.[16]

დ.გვრიტიშვილი იზიარებს იმ აზრს, რომ ქსნის საერისთავოს წარმოშობა უკავშირდება საქართველოში საერისთავოების წარმოქმნას. ესეიგი ძვ.წ IV-III ს.ს მაშინ როცა მეფე ფარნავაზმა ქართლის სამეფო დაჰყო რვა საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ. „ქსნის საერისთავო უნდა წარმოშობილიყო მაშინ, როდესაც საერთოდ საერისთავოები წარმოიქმნენ საქართველოში“.[17]

საერისთავო ეტაპობრივად ფართოვდებოდა, ძლიერდებოდა და ცენტრალური ხელისუფლებისგან უფრო და უფრო დამოუკიდებლად ეჭირა თავი. გვიანფეოდალურ ხანაში ქსნის საერისთავო გადაიქცა ტიპიურ სათავადოდ. აღნიშნული პროცესი XV საუკუნისთვის უკვე დამთავრდა. თუ საერისთავოს შექმნის საწყის ეტაპზე იგი შვიდი

[15]გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955, გვ.6.
[16]ბატონიშვილი ვ., საქართველოს სამეფოს აღწერა, ნაწილი პირველი, თბილისი, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივერიონი“, 2012, გვ.47-48
[17]გვრიტიშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, გვ.68

ხეობისგან შედგებოდა მე-18 საუკუნეში საგრძნობლად გაფართოვდა. „დავით ერისთავის დროს (1753-1774) ქსნის ერისთავების სამფლობელოში შედიოდა: ქსნის, ალევის, საფერშეთის, ჭურთის, ცხრაძმის, ქარჩოხის, ჟამურის ხეობები, მაღრან-დვალეთის სანახები, ლეხურის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ქოლოთ-ქვიტკირის, ისროლის, მეჯუდის, წრომის, პატარა ლიახვის ხეობები და გვერდის ძირი“.[18]

აღნიშნულ პერიოდში ქსნის საერისთავოს საზღვრები იყო:

„აღმოსავლეთით საერისთავოს ესაზღვრებოდა არაგვის საერისთავო. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა ლომისის მთიდან და მიემართებოდა სამხრეთისაკენ: ქარჩოხის მთები, ცხრაძმა-დადიანეთის მთები, ცხავატის სანახები, საფერშეთის სანახები, ალევის მთები, სამებისა და ლორწომნის მთები, ჯვარისუბნისა და დელკან-ჭორჭოხის სანახები, სოფელი სარბიელი, სოფ. ნაგომევი, მჭადიჯვრის სანახები (ეს უკანასკნელი ქსნის ერისთავებს არ ეკუთვნოდათ), ილტოზა, ოძისი.

სამხრეთით ქსნის საერისთავო სამუხრანბატონოს ესაზღვრებოდა. როგორც ვახუშტი ამბობს „ოძისამდე არს მუხრანსა, ოძის ჩრდილოთ კერძი ქსნის ხევისა“.

სამხრეთ-დასავლეთით ქსნის საერისთავო საამილახოროს ესაზღვრებოდა. ქსნის საერისთავოსა და საამილახოროს საზღვრად ვახუშტი ცხვილოსის მთას ასახელებს: „ამ მთის მიყოლვით, (ლაპარაკია ცხვილოსის მთაზე დ.გ) დასავლეთისაკენ მეჯუდამდე და ვიდრე დიდ ლიახვამდე.. აწ უწოდებენ საამილახოროსა“.

ქსნის საერისთავოს დასავლეთის საზღვარი მიემართებოდა ტყვიავიდან პატარა ლიახვისკენ და ფავლენიშვილების სამფლობელოსა და ე.წ სავახტანგომდე აღწევდა.

ქსნის საერისთავო ჩრდილოეთით დვალეთს ემეზობლებოდა და მაღრან დვალეთისა და ჟამურის სანახები საერისთავოში შედიოდა“.[19]

---

[18]გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955, გვ.70

[19]გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955,გვ.70-71

ამრიგად გვაქვს მრავალი ვერსია, თუმცა დღესდღეობით საერისთავოს შექმნის ზუსტი თარიღი და ერისთავთა წარმომავლობის განსაზღვრა რთულია. მათი წარმოშობის ისტორია შექმნილ მითს უფრო ჰგავს, მითუმეტეს იმ დროისთვის, დიდებულებში პოპულარული იყო მსგავსი მითის შექმნა, თითქოს არ იყვნენ ადგილობრივები და მათი წინაპარი შორეული მხრიდან იყო მოსული. მიაჩნდათ, რომ ეს ერთგვარად უფრო აღამაღლებდა მათ ავტორიტეტს მოსახლეობაში. ავტორები, რომლებიც პირდაპირ იზიარებენ ერისთავების ოსურ წარმომავლობას, ცხადია, ხელმძღვანელობენ ერისთავების დაკვეთით შესრულებული საგვარეულო მატიანით... „ძეგლი ერისთავთას“ რა თქმა უნდა, უდიდესი ფასეულობა გააჩნია, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში ჩანს, რომ დამკვეთის ინტერესია გატარებული. შესაბამისად საერისთავოს ჩამოყალიბებისა და ერისთავთა წარმომავლობის შესახებ,მას ცალსახად ვერ დავეყრდნობით.

ქსნის საერისთავო გაუქმდა 1777 წელს ერეკლე მეორის მიერ, ქსნის ერისთავის, გიორგი ყულარაღასის ღალატის გამო. იგი სამართავად გადაეცათ უფლისწულებს. მოგვიანებით ქსნის ერისთავებმა მოახერხეს და დაიბრუნეს ჩამორთმეული ტერიტორია, თუმცა ქსნის საერისთავომ ძველი დიდება ვეღარ დაიბრუნა, უფრო მეტიც, 1811 წელს რუსულმა მმართველობამ ქსნის საერისთავო საბოლოოდ გააუქმა.

## თავი III.დვალეთი

დვალეთი, - ისტორიულიმხარეშუასაუკუნეებისსაქართველოში, ტერიტორიულადმოიცავდაკავკასიონისქედისცენტრალურნაწილს,დარიალისხეობასადამ ამისონისუღელტეხილსშორის. ქართლისმთიანეთისნაწილი. დღესდღეობითაღნიშნულიგეოგრაფიულიერთეულიშედისრუსეთისფედერაციისშემადგენ

ლობაში. ვახუშტისცნობითიგიმოიცავდაექვსხეობას; კასრის-ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგოდაზახა. ქართულისაისტორიოტრადიციითესტერიტორიაიბერიისსახელმწიფოსწარმოშობის (ძვ. წ. IV - ძვ. წ. III სს.) დროიდანშედიოდასაქართველოსშემადგენლობაშიიქამდევიდრემეფისრუსეთმაარდაუქვემდებარავლადიკავკაზისოკრუგს 1859 წელს. იგიროგორცკულტურულადისეეკონომიკურადსაქართველოზეიყოდამოკიდებულიდაბოლოდრომდეამუკანასკნელისიურისდიქციავრცელდებოდა,მიუხედავადრეგიონშიეთნიკურ ისურათისცვლილებისა.

„დვალეთის ქვეყანა, ვითარცა კავკასიონის ქედის ცენტრალურ მაღალმთიან ზოლში ფორმირებული და ჯერ ქართლის (იბერიის) სამეფოს, ხოლო მერმე უკვე ერთიანი საქართველოს შემადგენელი უძველესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული (კულტურულ-ისტორიული) მხარე, ახ. წ. I-XII სს-ში ტერიტორიულად კავკასიონის მთავარ ქედს გადაღმა მდებარე და ამჟამად ჩრდილო ოსეთის ასსრ-ის ფარგლებში შემავალ ნარა-მამისონის ქვაბულს მოიცავდა და კასრის კარით იმიჯნებოდა ჩრდილო კავკასიის ბარში დისლოცირებული ირანულ-ენოვანი ეთნიკური მასივის სამხრეთით ლოკალიზებული მთისწინეთისა და მთის რეგიონისგან“.[20]

ბევრი ოსი მეცნიერიაქტიურადამტკიცებს დვალებისოსურწარმოშობასდაამმხარისისტორიულკუთვნილებას მნიშვნელოვანი ცნობებისა და წყაროების უგულებელყოფის, ან მათთვის სასურველი ინტერპრეტაციის გზით.

მაგალითად ბ.კალოევი გვარწმუნებს ოსების და დვალების ერთ წარმომავლობაში.

აღნიშნული პრობლემა კარგად აქვს გამოკვლეული ქართველ მეცნიერებს; რ.თოფჩიშვილს, ვახტანგ ითონიშვილს და სხვებს.

[20]ითონიშვილი ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი, მეცნიერება, 1992, გვ.181

რ.თოფჩიშვილი ამბობს „XIII-XIVსს-დან XVI ს-მდე ოსები ზემოთ აღნიშნულ ჩრდილოეთ კავკასიის ოთხ ხეობაში (დიგორი, ქურთათი, ალაგირი, თაგაური) ჩაკეტილნი ცხოვრობდნენ. XVI ს-ში ოსები სახლდებიან საქართველოს განუყოფელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში დვალეთში“.[21]

ვახუშტი საოცარი სიზუსტით მოგვითხრობს როგორც ოსთა განსახლების ადგილებზე, ისე დვალების და ოსების ურთიერთგანსხვავებულობაზე. იგი მოგვითხრობს: ოსების ჩრდილო კავკასიის ხეობებში შესვლა მონღოლების ლაშქრობას უკავშირდება. კერძოდ ჩინგიზ ყაენის, ბათო ყაენის და თემურ-ლენგის გამანადგურებელმა ლაშქრობებმა აიძულა ოსები ჩრდილო კავკასიის ველებიდან აყრილიყვნენ და მთაში შეხიზნულიყვნენ. ეს პროცესი თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. ვახუშტიმ აღნიშნა რომ დვალეთი შედგება 6 ხევისგან, რომელშიც ამჟამად (მის დროს) ოსები მკვიდრობენ და რომ დვალეთი ისტორიული ოსეთი არაა. მოსულმა ოსებმა მოახდინეს ადგილობრივი კავკასიური ტომის, დვალების ასიმილაცია და მოსულებიც იწოდნენ დვალებად. ხშირად იგი მოიხსენიებს ტერმინით „ოსნი-დვალნი“ იქ მცხოვრებ ოსებსა და გაოსებულ დვალებს. ვახუშტი აგრეთვე ახდენს დვალეთის ზუსტ ლოკალიზაციას და აღნიშნავს დვალთა განსახლების ადგილებს დვალეთს გარეთ (დიდი ლიახვის სათავე -- მაღრან-დვალეთი, თერგის სათავე - თრუსო)[22]

ოვსთაგან დამოუკიდებლად არსებული და შიდა ქართლის მთიანეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ერთ-ერთი ტომის დონეზე დვალთა ფუნქციონირების ფაქტს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ჟამთააღმწერლის (XIV ს.) თხზულების იმ მონაკვეთის გაცნობაც, სადაც აშკარა ურთიერთშეპირისპირებაში იხსენიებიან ერთი მხრივ, დავით VIII-ის მიერ 1297 წ. წამოწყებულ ანტიმონღულურ აჯანყებაში აქტიურად ჩაბმული „დვალნი“ ხოლო მეორე მხრივ, მონღოლთა სარდლის ხუტლუბუღას დროშის ქვეშ მებრძოლი „ოვსნი“

[21]თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა (სალექციო კურსი), თბილისი, 2007, გვ.52

[22]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ. 141-142

ქართლის რბევა-აწიოკებით „სახელმოხვეჭილ“ „ბაყათარ ოვსთა მთავრის“ მეთაურობით“.[23]

მსგავსი წყაროები მრავლად მოიძებნება, სადაც წარსულში ნახსენებია და მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისგან ტერმინი „დვალი (დვალნი)“ და „ოსი (ოსნი)“. ამდენად, სრულიად უმართებულო და სუბიექტიზმით სავსეა, იმ ავტორთა ნაშრომები, რომლებიც აქტიურად აცხადებენ დვალებს ოსური წარმოშობის ტომად. საბედნიეროდ არსებობს ძველი ცნობები და წყაროები, რაც იძლება საშუალებას საკადრისი პასუხი გაეცეს მსგავს მოსაზრებას.

ვახტანგ ითონიშვილი ფიქრობს: „თუ ჩვენ დვალურ ენაზე, ვითარცა დვალთა ეთნიკური (თუ ეთნოგრაფიული) ფიზიონომიის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანზე, მათი ოდინდელი განსახლების არეალში ფიქსირებულ და სწორედ დვალური ენის პროდუქტად მიჩნეული ტოპონიმების მიხედვით ვიმსჯელებთ, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საძიებელი ენა, უწინარეს ყოვლისა, ქართველურ ენებს ენათესავებოდა, რის კვალობაზე სრულიად კანონზომიერად იბადება აზრი ერთ-ერთ უძველეს ქართველურ ტომად დვალთა წარმოდგენის მიზანშეწონილობის შესახებ. ამასთან, ძველი დვალური ტოპონიმიური ნომენკლატურა, როგორც დვალური ენის მრავალსაუკუნოვანი ფუნქციონირების უტყვი მოწმე, განსაკუთრებით ბევრ საერთოს ჰპოულობს დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (კერძოდ სვანეთ-რაჭა-ლეჩხუმის) ტერიტორიაზე ფიქსირებულ სვანური ძირის მაკრო და მიკრო ტოპონიმებთან, რაც ძალაუნებურად აღძრავს ინტერესს დვალებში პირველ რიგში სწორედ სვანებთან ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით დაახლოებული ტომის ამოცნობის შესაძლებლობისადმი“.[24]

რ. თოფჩიშვილი ამბობს „დღეს ოსი მეცნიერები ცალკე გამოყოფენ „თუალებს“, ანუ თუალთაში მცხოვრებ ოსებს. თუალთა კი სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხე დვალეთი, სადაც ქართველი მთიელები (დვალები)

[23]ითონიშვილი ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი, მეცნიერება, 1992, გვ.92-93
[24]ითონიშვილი ვ., დასახელებული ნაშრომი, გვ.186

ცხოვრობდნენ. ისინი ექვს თემად ცხოვრობდნენ და განსახლებულნი იყვნენ ჟღელეს, ზრამაგის, ნარას, ზროგოს, ზახას, კასრის ხეობებში. XX საუკუნის მეორე ნახევარში დვალეთს ოსმა მეცნიერებმა „ცენტრალური ოსეთი“ უწოდეს“.[25]

იმავე ნაშრომში ვკითხულობთ „კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში - დვალეთში ოსების შემოსახლება XV საუკუნის ბოლოდან იწყება. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI საუკუნეში, XVII საუკუნეში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის (ტერიტორიული ერთეულის) - დვალების ასიმილაცია ოსების მიერ, მაგრამ როგორც ბ.კალოევის მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, დვალეთის ზოგიერთ ხეობაში, მაგალითად ზახაში ორენოვნება დიდხანს იყო შემორჩენილი (კალოევი, 1999). ზახელების უმეტესობამ ქართული ენა კარგად იცოდა. ზახაში ქართული ეკლესიების არსებობა, ქართველი მღვდლების მოღვაწეობა და ქართულ ენაზე ქადაგებაც იმის დამადასტურებელია, რომ დვალეთი ქართული მხარე იყო, თავისი ქრისტიანული რელიგიით. იმავე ბ. კალოევს თავის ნაშრომებში იმის დამადასტურებელი მასალაც მოაქვს, რომ XVIII საუკუნის ბოლოსაც დვალეთის მკვიდრნი, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ჯარში ისევე იბრძოდნენ, როგორც სხვა მხარეების წარმომადგენლები. ოსების დვალეთში დასახლებამდე, ოსების მოწოლის, თარეშის, ლაშქრობების გამო, დვალების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა) განსახლდა. ადგილზე დარჩენილი დვალები, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში ამ უკანასკნელთა აქ ჯგუფური შემოსახლებისა და სწრაფი გამრავლების შედეგად ასიმილირებულ იქნენ.ქართველი მთიელი დვალები იყვნენ წარმოშობით: ხადურები, ჩიფჩიურები, ბიგულები, თვაურები, ჩოჩოურები (იგივე ჩოჩიშვილები), ბეღელურები, გუდიაურები, ბაგაურები, გერგაულები,

[25]თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, გვ.130

თაბაურები, ხერხეულიძეები, ქესაურები, ფარუხაულები; აგრეთვე: ბიგანები (ბიგანიშვილები), ხაბარელები, ხეთერელები, ხაჩიძეები (ადრინდელიხაჩიურები).[26]

ისტორიული მასალებით დგინდება, რომ დვალეთში ოსთა მოსვლას და დასახლებას მშვიდობიანი ხასიათი არ ჰქონია. ალან-ოსებირომლებიცჩრდილოკავკასიისველებიდანკავკასიონისვიწროხეობებშიშემორეკესმონღოლთაურდოებმათავისმხრივშუბითდამახვილითიკავებენდვალეთს.

ოსების მიერ დვალეთის დაკავებას და თანდათანობით გაოსებას იზიარებს გ. თოგოშვილი. იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს. რომ კავკასიის ვიწრო ხეობებში შესულმა ოსებმა დაიწყეს დვალეთში გადასვლა და დაკავება. თავის მხრივ დვალთა ერთი ნაწილი ინაცვლებს საქართველოს ბარის ნაწილისკენ, ხოლო ადგილზე დარჩენილი ნაწილი განიცდის ასიმილაციას ოსთა მიერ.[27]

ოსური გადმოცემებიც ადასტურებენ, რომ ოსური ეთნოსი დვალეთში, ბრძოლით არის მოსული. ადგილობრივ მოსახლეობას ისინი ებრძოდნენ, ამარცხებდნენ და ისე იკავებდნენ  მათ საცხოვრებელ ადგილებს. ასეთი გადმოცემების საშუალებით, შეიძლება დავადგინოთ დვალეთის ადგილობრივი და მოსული ოსური გვარები. დვალეთში ფეხის მოკიდების შემდეგ, ოსებმა შიდა ქართლის მთიანეთში გადმოინაცვლეს.

დვალეთი და შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი რომ ოსთა საცხოვრისი არ იყო და რომ აქ ქართველები მკვიდრობდნენ, ეს აშკარად დასტურდება ისეთი მონაცემებით, როგორიცაა ოიკონიმები (სოფლის სახელები). აქ დათარიღებული არც ერთი ტოპონიმი ოსური არაა. სოფლები ქართულ გამჭვირვალე სახელწოდებებს ატარებდნენ, მხედველობაში გვაქვს როგორც ტოპონიმთა ძირები, ისე მათი მაწარმოებელი სუფიქსები. მხოლოდ მთის სოფელთა რამდენიმე სახელწოდების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით: საცხენისი, ედემქალაქი, ბელოთი, აწერისხევი, ინაური, ჩაბარუხეთი, წიფორი, შამბიანი, ისროლისხევი, ქოლოთი, ქვითკირი, მოხისი, ბიეთი,

[26]თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, გვ.133-134

[27]თოგოშვილი გ., საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. სტალინირი, 1958, გვ.194

ანდორეთი, გუფთა, პატარა ჯავა, ზემო ჯავა, სხლები... დვალეთი რომ ეთნიკურად ქართული იყო, კარგად ჩანს XV საუკუნის დასაწყისის მინაწერით ღუდის (ღუნდის) სახარებაზე. სახარება „თათრობის“ დროს დაკარგულა. ის ხორაულის ივანეს უპოვია. შემდეგ კი სახარება გასაყიდად დვალეთში ფარუხაულის გვარის კაცს დედამისისთვის გაუგზავნია. მინაწერით დასტურდება, რომ დვალეთი ქართული მხარე იყო, ქართული საღვთისმეტყველო ენით, სადაც მოთხოვნილება იყო ქართულ სახარებაზე, სადაც ქართულ სახარებას მყიდველი ჰყავდა. მინაწერი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში მოხსენიებული ანთროპონიმი - ფარუხაული ქართული გვარსახელია. გვარსახელი ნაწარმოებია აღმოსავლეთ საქართველოს მთის გვარებისათვის დამახასიათებელი ურ (-ულ) სუფიქსით.[28]

ცალკეგანხილვისსაგანიამაღრან-დვალეთი,
რომელიცლოკალიზებულიიყოდვალეთისსამხრეთით,დიდილიახვისსათავეში,
რომელიცწარმოიქმნაშედარებითგვიანპერიოდშიდვალეთიდანადგილობრივიმოსახლეობისე.იდვალებისმიგრაციისშედეგად. იგიქართულსაისტორიოწყაროებში XIII საუკუნიდანიხსენიება.
აქვეიმასაცაღვნიშნავთ,რომესრეგიონიძალიანპატარაგეოგრაფიულიერთეულიიყოდასულცხრამთურისოფლისგაერთანებასწარმოადგენდა. ესსოფლებიიყო: ზემოერეთი, შუაერეთი, ქვემოერეთი, ხოჯა, გვიდისი, ქალაქა, ზემოკაბუეთი, ქვემოკაბუეთი, ბრუტაულიდაკელეთი.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (მდ. დიდი ლიახვის ხეობის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი რეგიონებიდან XVII საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში შიდა ქართლის მთიანეთი ნასოფლარებით იყო მოფენილი და ქართული მოსახლეობა აყრილი. ვახუშტი ბაგრატიონი ხაზგასმით წერდა, რომ დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსები

[28]თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, გვ.142-143

ქართველთა ნასახლარებზე იყვნენ დასახლებულნი: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომთა მეპატრონეთა მათგან გარდმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან“.[29]

მოხდა შემდეგი: ოსების განსახლების სამხრეთი მიმართულება, ე.ი შიდა ქართლის მთიანეთი, დიდი ლიახვის სათავე დაიცალა ქართული მოსახლეობისგან სხვადასხვა მიზეზთა გამო. აღნიშნულ პერიოდში ოსები აქტიურად მიიწევენ სამხრეთით, შედარებით უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით. ისინი დაცლილ და გაუკაცურებულ ტერიტორიას იკავებენ მარტივად.

XVIII საუკუნის დასასრულიდან ფაქტობრივად შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში. განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დვალეთის ოსური მოსახლეობა, რომელსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია არ შეუწყვეტიათ თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე. საერთოდ ოსების საქართველოს ტერიტორიაზე განსახლება უმეტესად დვალეთის გზით ხორციელდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან დვალეთში შემოსახლებულები გარკვეული ხნით აქ დამკვიდრების შემდეგ, შიდა ქართლის მთიანეთში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად. თუმცა არაერთი ფაქტია დადასტურებული ოსთა გადმოსახლებისა უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან, განსაკუთრებით მიგრაციის ადრეულ, საწყის ეტაპზე.

XIX საუკუნის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში, მეჯუდის ხეობაში, ლეხურას ხეობაში და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში.

[29]თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, გვ.137-138

## თავი IV. ოსური ახალშენები ქართლის მთიანეთში

ოსური მოსახლეობის გაჩენა საქართველოში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. აღნიშნული საკითხით ბევრი მეცნიერ-ისტორიკოსი დაინტერესებულა და ბევრი ნაშრომი მიუძღვნიათ ამ დრომდე, როგორც ქართველებს, ისე ოსებს და სხვებს. ოსური მოსახლეობის მიერ, ქართლის ათვისების დრო და პერიოდი დღემდე კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მეცნიერთა შორის. არც ერთი მათგანი, უარყოფს საუკუნეების წინ, ოსთა მიგრაციასა და დამკვიდრების ფაქტს, თუმცა ზოგიერთი მეცნიერი საკითხს სუბიექტურად უდგება, ფარავს, მალავს ან საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევს ისტორიულ წყაროებს.

ბოლო წლებში ოსი ისტორიკოსების მიერ დასახელდა სხვადასხვა თარიღი საქართველოში ოსთა გადმოსახლების შესახებ. ერთთა „მტკიცებით", ეს მოხდა ხუთი ათასი წლის წინ (ნაფი ჯუსოითი), ხოლო უფრო ზომიერნი მიგრაციის პერიოდად XIII-XIV საუკუნეებს ასახელებენ. მესამე კატეგორიისანი კი აღნიშნულ ორ ძალიან დაშორებულ თარიღს შორის სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს გვთავაზობენ. ბოლო წლებში მითოლოგემების შექმნით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საბჭოთა ისტორიკოსმა მარკ ბლიევმა, რომლისთვისაც, შეიძლება ითქვას, რომ საისტორიო წყარო არს არსებობს ან თუ არსებობს, იმ ინტერპრეტაციით, როგორც მას ეს წარმოუდგენია. მარკ ბლიევის მიხედვით, თურმე ადრე შუა საუკუნეების ქართლის (იბერიის) სამეფო სხვა არაფერი იყო, თუ არა ქართულ-ოსური კონფედერაცია. უფრო შორსაც კი მიდის ზოგიერთი მეზღაპრე და საბჭოთა პერიოდის „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიას სარმატიას უწოდებს. ნებისმიერი

ისტორიკოსისათვის კავკასიონის ქედის სამხრეთისათვის „სარმატიის“ წოდება ალბათ, გამაოგნებელი იქნება.[30]

თუ გადავხედავთ სხვადასხვა ისტორიკოსის შეხედულებებს ნათლად დავინახავთ, რომ ერთი ჯგუფი, ძირითადად ოსი ისტორიკოსები, ყველანაირ ღონეს ხმარობენ, ქართლის მთიანეთში ოსური ეთნოსის დამკვიდრების თარიღი, რაც შეიძლება სიღრმეში გადაიტანონ. მიზანი მარტივია - გარკვეული ძალა ცდილობს, დღეს არსებული რეალობა (ძალით წართმევა, წაგლეჯვის პოლიტიკა) მორალურად გაამართლოს და დასაყრდენი შეიქმნას, რომ შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილი, სადაც დღეს ე.წ „სამხრეთ ოსეთი“ მდებარეობს, ისტორიულად მართლაც, ოსი ერის სამკვიდრო არეალია და სრული უფლება აქვთ საკუთარი სახელმწიფო ჰქონდეთ. ეს პოლიტიკა რომ მხოლოდ ოსების ნამოქმედარი არაა და მათ ზურგს, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი უმაგრებს ეს ფაქტია.

ვნახოთ სხვადასხვა ისტორიკოსის შეხედულება, საქართველოში ოსების გადმოსახლებასთან დაკავშირებით.

ბ.სკიტსკის აზრით საქართველოში ოსები გადმოსახლდნენ მე-3-4 ასწლეულიდან და იგი უკავშირდება ჰუნთა შემოსევას ჩრდილო კავკასიაში. სხვათაშორის მას დვალები და ოსები ერთ ეთნიკურ ელემენტად მიაჩნია.[31]

დაახლოებით იმავე აზრს იზიარებდა XIX ს-ის II ნახევრის ავტორი დ.ლავროვი, რომელიც ოსთა საქართველოში გადმოსახლების თარიღად ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნეს ასახელებდა. [32]

---

[30]თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, გვ.128

[31]ვახტანგაშვილი მ., ოსთა განსახლების საკითხისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 2014, გვ.14-16

[32]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ.73

ე. ჰჩელინა ოსების სამხრეთით გადმოსახლებას VI-VII სს. ვარაუდობდა. იქვე ოსთა საქართველოში გადმოსახლებას ისტორიკოსი გ.კოკიევი ჰუნებს უკავშირებს (IV საუკუნე)[33]

853 წელს ბუღა თურქს ოსები ქვემო ქართლში დაუსახლებია. „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს: დარიალანით გადმოიყვანა ოვსნი ვითარ სახლი ასი და დასხნა იგინი დმანისს, და ენება ზათხულის შესვლა ოვსეთად“ თუმცა წყაროები მათ შემდგომ ბედზე აღარ მოგვითხრობენ.[34] შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მათი ასიმილაცია 2-3 თაობის შემდეგ მოხდებოდა ადგილობრივების მიერ.

იმავე ინფორმაციას გვაძლევს ზ.ჭიჭინაძე რომელიც ბუღა თურქის სახელს ( ე.ი მე-9 სს) უკავშირებს სამშვილდეში 3000 ოსური კომლის გადმოსახლებას და დაახლოებით 30 000 ადამიანით განსაზღვრავს.[35] თუმცა ამ ფაქტის დამამტკიცებელი წყარო არ ადასტურებს.

გ. თოგოშვილი XIII-XIV საუკუნეებს წარმოგვიდგენს საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტური ოსური დასახლებების შექმნის თარიღად და ფიქრობს, რომ მაშინ ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე „სამხრეთ ოსურ“ მოსახლეობას.[36]

ნ.ლომოურის დასკვნით მხოლოდ XVII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება პირველი ოსური სოფლები. მისი აზრით XVII საუკუნემდე კავკასიონის გადმოღმა ოსური დასახლებები არანაირი წყაროთი არ დასტურდება.[37] ჯ.გვასალიას აზრით შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მნიშვნელოვანი ინფილტრაციის

---

[33]ვახტანგაშვილი მ., ოსთა განსახლების საკითხისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 2014, გვ.15

[34]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ. 134

[35]ჭიჭინაძე ზ., ოსეთის ისტორია, ტფილისი, შორაპანი, 1913, გვ.85

[36]თოგოშვილი გ., საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. სტალინირი, 1958, გვ.225

[37]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ.119

პროცესს ადრეულ საუკუნეებში არ უნდა ჰქონდა ადგილი. იგი გვიანი შუასაუკუნეების მანძილზე ხდებოდა.[38]

მიმოვიხილეთ, რა სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრება და შეხედულებები. სხვადასხვა არგუმენტებისა და მსჯელობების მიუხედავად, რეალობას არ შეესაბამება ოსების ჩამოსახლების თარიღის, ადრე ფეოდალურ და მითუმეტეს ანტიკურ ხანაში გადატანა. წყაროებს, რომლებსაც ისტორიული ღირებულება გააჩნიათ მე-17 საუკუნის იქით არ მივყავართ. რაც არ უნდა ამტკიცონ, მათი შეხედულებების ფაქტებით გამყარება შეუძლებელია. რ.თოფჩიშვილმა, რომელმაც აღნიშნული მიმართულებით, შეიძლება ითქვას ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ანალიზი ჩაატარა, ამბობს: „ყოველგვარ არგუმენტებსა და ფაქტებსაა მოკლებული და მხოლოდ ზოგიერთი ავტორის ახირებას ემყარება თეზისები ოსების საქართველოში ძველი დროიდანვე მკვიდრობის შესახებ. არც ერთი საისტორიო წყაროთი, საბუთით, არქეოლოგიური მასალით არ დასტურდება ოსების საქართველოში მიგრაცია და აქ საბინადროდ გადმოსვლა, არც ძველი წელთაღრიცხვის სხვადასხვა მონაკვეთში და არც ახ.წ.- ის IV ს-ში ჰუნების შემოსევას ალან-ოსების საქართველოში დასახლკარება არ მოჰყოლია. ამ დროს ოსებმა დონისპირა და აზოვისპირა ველებიდან შედარებით სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ველებში ჩამოიწიეს. არ დასახლკარებულან ოსები საქართველოში არც VII და არც XIII სს-ში, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარმოუდგენია. XIII ს-ში ოსებმა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დაიწყეს შესვლა, რაც კარგა ხანს გაგრძელდა და დასრულდა ეს მიგრაციული პროცესი XV ს-ის დასაწყისში“.[39]

საქართველოში ოსები ჩამოსახლებას და კომპაქტურად დამკვიდრებას XVII საუკუნიდან იწყებენ, ხოლო ქსნის ხეობის ათვისება მათ მიერ უფრო მოგვიანებით XVIII და

[38]აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები - შიდა ქართლი, თბილისი, 1983, გვ.170

[39]თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა (სალექციო კურსი), თბილისი, 2007, გვ.54

განსაკუთრებით XIX საუკუნეში ხდება. ამ მოსაზრებას ამყარებს თვით ოსურ გვარებში დაცული გადმოცემები, რომლებიც ითვლიან 10-12 თაობას საქართველოში დასახლებიდან. ე.ი დაახლოებით XVII საუკუნის მეორე ნახევარი.[40]

ჩვენ ვიცით, რომ ოსური მოსახლეობის  გადმოსვლას კავკასიონის სამხრეთ კალთებზე წინ უძღოდა მათ მიერ დვალეთის დაკავება და დვალების ეტაპობრივი ასიმილაცია. შემდგომში ოსებმა  დაიკავეს ლიახვის ხეობის სათავეები, მაღრან-დვალეთი, თრუსოს ხეობა და შემდეგ თანდათანობით გაიშალნენ  სამხრეთისკენ.

„ჩრდილო კავკასიის ველებზე მონღოლთაგან განადგურებული ოსები მთას შემოეხიზნენ, აქედან კი მთის ზოლის მეურნეობის თავისებურების გამო სამხრეთით დაეშვნენ, დვალეთის ტერიტორიის გამოვლით, რომელიც გადაჭიმული იყო თრუსოს ხეობიდან (აღმოსავლეთიდან) რაჭის საზღვრებამდე (დასავლეთით), კასრის ხეობიდან (ჩრდილოეთიდან) დიდი ლიახვის ზემო წელამდე (სამხრეთით)“.[41]

ასე თანდათანობით დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის და მეჯუდის ხეობების დაკავების შემდეგ მოხდა აღმოსავლეთით გაფართოვება და ქსნის ხეობაში ოსური მოსახლეობის დამკვიდრება.

რითი იყო გამოწვეული ოსური ეთნოსის მასიურად მოწოლა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და შემდეგ შიდა ქართლის გულში?

ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ოსების ჩრდილო კავკასიის ველებიდან მთაში შესვლა მონღოლების ლაშქრობებს და განსაკუთრებით თემურ ლენგს უკავშირდება, XIII-XIV საუკუნეებში. ცენტრალური კავკასიის ვიწრო ხეობებში შესული ოსები მთიელებად იქცნენ. მთაში ცხოვრების რთული პირობები და უნაყოფობა განაპირობებდა გამრავლებული ოსური მოსახლეობის გაფართოვებას სამხრეთის მიმართულებით. იმ

[40]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ.138

[41]თოგოშვილი  გ., საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. სტალინირი, 1958,  გვ.220

დრომდე სანამ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ძლიერი იყო და მტკიცედ აკონტროლებდა ჩრდილოეთის გადმოსასვლელებს, არ ხდებოდა ჩრდილოეთიდან უკონტროლო მასის მოწოლა. მას შემდეგ, რაც საქართველო დაიშალა მცირე სამეფო-სამთავროებად (ე.ი XV საუკუნე) და განიცდიდა მტრის გამუდმებულ თავდასხმებს, ნადგურდებოდა და წყდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა მტერთან ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად, ჩრდილოეთის გადმოსასვლელები ნაკლებად დაცული გახდა. მტრის გამუდმებული თავდასხმები იწვევდა ნასოფლარების გაჩენას. აღნიშნულიდან გამომდინარე ერთის მხრივ მთის ვიწრო ხეობებში მოსახლე ოსები, სულ უფრო სამხრეთით მოიწევდნენ და ძალით იკავებდნენ ქართულ მიწებს უკეთესი პირობების შესაქმნელად, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივი ქართველი ფეოდალები და ხშირად მეფეები თვითონ იწვევდნენ და ასახლებდნენ უცხო ეთნიკურ ელემენტს, მათ შორის ოსებს ქართველთა ნასოფლარებზე, რადგან გაეზარდათ მწარმოებლური მეურნეობა და შეევსოთ არმია ცოცხალი ძალით.

ოსების ჩამოსახლება ჩრდილო კავკასიის ხეობებიდან პარალელურად მიმდინარეობდა ადგილობრივი, ქართული მოსახლეობის შემცირების და ბარში გადასახლების ხარჯზე, რომელიც თავის მხრივ გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ შორის: მთისწინეთსა და ბარში ქართული მოსახლეობა მტერთან ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად ნადგურდებოდა. მთაში მცხოვრები ქართველები ბარში ჩამოდიოდნენ საცხოვრებლად. მათ ნაფუძარზე კი ოსები სახლდებოდნენ. გარდა, იმისა რომ ქართველები ცდილობდნენ უკეთესი საცხოვრებელი პირობების მიზნით ბარში გადასახლებას, იყო კიდევ სხვა მიზეზი. ქართული მოსახლეობის მთის ხეობებიდან აყრას და ბარისკენ გადასახლებას ოსების მიერ, მოწყობილი ლაშქრობები, ძარცვა-გლეჯვა, ტყვედ წაყვანა და მკვლელობაც განაპირობებდა.

ჩრდილო კავკასიის ხეობებიდან სამხრეთით დაშვებული ოსები, რომ ქართველი მთიელების ძარცვა-რბევით იყვენენ დაკავებული, მიგვიანიშნებს სხვადასხვა წყაროები.

კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და ქართლის ხეობების სათავეებში მათი გამოჩენიდან მოყოლებული უკანასკნელ ხანებამდე ოსების თარეში და ძარცვა-რბევა უცხო ხილი არ ყოფილა. ამ მხრივ საკმაოდ ბევრს მოგვითხრობს წყაროები. ვიტალი ქენქაძე სამართლიანად შენიშნავდა ნაშრომში „თქმულება უკანუბნელ მანანაზე“ „ძარცვაში აქტიურ მთიელთა შორის უფრო აქტიურნი ოსები და ხევსურნი გამოდიოდნენ“[42] „დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ზემო ჯავაში XVII საუკუნის შუა ხანებში ოსური მოსახლეობა რომ ჯერ კიდევ არ მკვიდრობდა, ჩანს ერთი დოკუმენტიდან. საბუთში წერია, რომ „ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომ კაცის ნაშენები აღარა იყორა“... საბუთში ლაპარაკია, რომ ზემო ჯავაში ადგილობრივი მოსახლეობა ოსთა თავდასხმებისა და მეკობრეობის შედეგად ამოწყდა“.[43]

აღნიშნული წყარო იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ერთის მხრივ გვიჩვენებს ზემო ჯავის მოსახლეობას იმ დროისთვის არ წარმოადგენდნენ ოსები, ხოლო მეორეს მხრივ პირდაპირ ჩანს თუ რა მეთოდებს მიმართავდნენ და როგორ მეკობრეობდნენ იმ დროს საქართველოს ჩრდილო საზღვარზე ახლად ჩამომდგარი ოსები. ისინი სამხრეთისაკენ ბრძოლით და ძარცვა-რბევით მოიკაფავდნენ გზას. ანადგურებენ ქართულ სოფლებს და ადგილობრივები იძულებულები ხდებოდნენ დაეტოვებინათ საცხოვრისი და შედარებით მშვიდი ადგილი ეპოვათ.

ქართველი მთიელების მიერ, საცხოვრისის მიტოვება უბიძგებდა, უფრო ჩრდილოეთით, უნაყოფო ადგილებზე დამკვიდრებულ ოსურ მოსახლეობას, დაშვებულიყო სამხრეთისაკენ და დაეკავებინა დაცარიელებული სოფლები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთიანეთში ოსების გადმოსახლების საწყის ეტაპზე, ისინი იკავებდნენ ისევ

[42]ქენქაძე ვ., ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი, თბილისი, მწიგნობარი, 2008, გვ.41

[43]თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, გვ.138.
დოკუმენტებისაქართველოსსოციალურიისტორიიდან. - ტომი 1 - ბატონყმურიურთიერთობა. [XV-XVIII ს.ს.] - ნ.ბერძენიშვილის რედაქტორობით - სსრკმეცნ. აკად. საქ. ფილიალისგამომცემლობა - თბილისი - 1940, გვ.364

და ისევ მთიან და უნაყოფო ადგილებს, (ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსები შედარებით გვიან გამოჩნდნენ) მათთვის მაინც პერსპექტიული იყო სამხრეთით გადმოსახლება, საკუთარ საცხოვრისთან შედარებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე გვაქვს ქართული მოსახლეობის მთიდან ბარში ჩამოსახლების ორი ძირითადი მიზეზი; ერთი საკუთარი ნებით გადასახლების, რომელიც უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნას ისახავდა მიზნად და მეორე იძულების წესით გადასვლა მთიდან ბარისკენ, რომელსაც თვითგადარჩენის ინსტიქტი განაპირობებდა.

გარდა იმისა, რომ ოსები ძალით იკაფავდნენ სამხრეთისკენ გზას და ძარცვა-რბევით იძულებულს ხდიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას დაეტოვებინათ საცხოვრებლები, მათ გადმოსვლას და დამკვიდრებას გვიან ფეოდალურ ხანაში, ქართველი მეფეები, თავადები და დიდებულებიც უწყობენ ხელს. მათი მიზანი იყო მუშახელის გამრავლება და ეკონომიკურად დაწინაურება. როგორც მეფის ინტერესში იყო გაუკაცურებული ტერიტორიის მოშენება, დასახლება, მებრძოლთა რიგების შევსება, ისე თავადების და მემამულეების ინტერესში იყო საკუთარ მიწებზე, ახალი მუშახელის დამკვიდრება, რაშიც ოსებს აქტიურად იყენებდნენ.

ერთ-ერთი მაგალითი: „1634-1658 წლების საბუთით მეფე როსტომი თავის მოხელეებს უბრძანებს, რომ არაფერი დაეშავებინათ ოსეთიდან აყრილი და ჯავის ზემოთ დასახლებული ოსებისთვის და თუ ვინმე კვლავ ჩამოსახლდებოდა ოსეთიდან, არც მისთვის შეეშალათ ხელი“ [44]

მაშ ასე, ზემოთ მოყვანილი ფაქტი ნათელი დადასტურებაა იმის, რომ ჩვენი მეფეები ხელს უწყობდნენ ოსების ჩამოსახლებას. მსგავსი დოკუმენტები მრავლად მოიპოვება, თუნდაც ერეკლე მეორის გაცემული, ქსნის ერისთავის, თავადი მაჩაბლის და ა.შ

იკვეთება ორმხრივი ინტერესი. გაჩანაგებული ქართლის ტერიტორიის ათვისების საქმეში, რომ მმართველ ფენას ოსური მოსახლეობით შევსება ესახებოდა მიზნად

[44]თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, გვ.138

გასაგებია. თავის მხრივ კავკასიონის ვიწრო და უნაყოფო ხეობებში მოსახლე ოსების დაინტერესება, მათთვის ასე ვთქვათ სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. ისინი ძალით მოიწევდნენ სამხრეთისკენ და ცდილობდნენ ქართლის მდიდარი და ნაყოფიერი ველების დაკავებას.

აკადემიკოსი ნ. დუბროვინი მიუთითებს: „მცირე მიწიანობის გამო ოსების ნაწილი კავკასიონისმთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსახლდნენ... დაიკავეს რა დიდი და მცირე ლიახვის, ქსნისა და მისიშენაკადების ხეობები, ოსები გახდნენ თავად ერისთავებისა და მაჩაბლების ყმები. ეს გადმოსახლებულებიშეადგენდნენ სწორედ ე. წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას“.[45]

ოსები საქართველოში გადმოსახლების პირველ ეტაპზე იკავებდნენ მთიან ადგილებს. ეს ვითარება მე-18 საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა, ხეობების სათავეებში, სადაც იყო უვენახო და უნაყოფო ადგილები. მთისწინეთსა და ბარში მათი გადასახლება მოგვიანებით მოხდა.

ოსები რომ დიდი ხნის ჩამოსახლებულნი არ იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, ამისდამადასტურებელია მათი სოციალური მდგომარეობაც. XIXს-ის მოსახლეობის აღწერისდავთრებში დიდი ლიახვის ხეობაში მოსახლე ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ხიზნებადააჩაწერილი. ხიზანი კი, როგორც ქართული საისტორიო წყაროებითა და სათანადოგამოკვლევებით ცნობილია, საკუთარი სამკვიდრებლიდან აყრილი და სხვაგანთავშეფარებული გლეხია.[46]

ოსი მოახალშენეების რიცხვი საგრძნობლად იზრდება მე-18 საუკუნის შუა ხანებიდან.ვ.ითონიშვილი ფიქრობს: „სწორედ XVIII საუკუნის შუა წლები უნდა იქნეს მიჩნეული ქართლში ოსთა მნიშვნელოვანი ჩამოსახლების ხანად. ამ პერიოდში ოს

[45]სონღულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბილისი, 2009, გვ.98

[46]თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა (სალექციო კურსი), თბილისი, 2007, გვ.57

მოახალშენეთა რაოდენობამ უკვე 5000-მდე კომლი შეადგინა“.[47] ჩვენი აზრით აღნიშნული ციფრი გაზვიადებულია. მას სათანადო პასუხი გასცა რ.თოფჩიშვილმა ნაშრომში „საქართველოში ოსთა ჩამოსახლება“ სადაც დამაჯერებლად უარყო ზემოთ ხსენებული ციფრი, კომლობრივი რაოდენობისა.

ზოგიერთი ოსი ავტორიXVIIIს-ის მეორე ნახევარში საქართველოში ოსთა რაოდენობას ხან6000 და ხან7000 კომლით განსაზღვრავს. რეალურად კიXVIIIს-ის დასასრულს დღევანდელისაქართველოს ტერიტორიაზე2.130 კომლი(15 000-მდე სული) ოსი მკვიდრობდა.[48]

“XVIII საუკუნის ბოლოსათვის სამხრეთით ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით): კუდარო (მდინარე ჯეჯორის სათავე რაჭაში) - გუფთა (მდ. დიდი ლიახვის ხეობა) - აწერისხევის ხეობის ზემოთ (პატარა ლიახვის ხეობაში) - მეჯუდის ხეობის სათავეში ორი სოფელი - ჟამური (ქსნის ხეობის სათავე) - ღუდა (მდ. თეთრი არაგვის ხეობის სათავე მთიულეთში) - თრუსო (მდ. თერგის სათავე). XVIII საუკუნის ბოლოსათვის ოსები საერთოდ არ იყვნენ ლეხურას ხეობაში, მეჯუდას ხეობაში (მისი სათავის გამოკლებით), ქსნის ხეობის მთიანეთის დიდ ნაწილში, ფრონეების ხეობაში. სხვანაირას რომ ვთქვათ, როგორც ვახუშტი ბაგრატიონის დროს, ისე XVIII საუკუნის დასასრულს, ოსები საქართველოს ცალკეული ხეობების მხოლოდ „უვენახო-უხილო“ ზონაში ანუ „მთის ადგილებში“ ცხოვრობდნენ“.[49]

მნიშვნელოვანი საკითხი. ე.წ სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ძირითადად ერთი გვარით დასახლებული სოფლები არსებობდა. ხშირად მეზობლად მდებარე რამდენიმე სოფელშიც ერთი გვარისხალხი მკვიდრობდა. მთიდან დაბლობში ჩამოსახლებული ოსები ვეღარ ახერხებდნენ ნათესაური პრინციპით დასახლებას. გადმოცემით, შიდა ქართლის მთიანეთში დასახლებული ოსები ხშირად ებრძოდნენ

[47]ითონიშვილი ვ., ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიიდან, თბილისი, 1995, გვ.13

[48]თოფჩიშვილი რ., იქვე.

[49]თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, გვ.139-140

ერთმანეთს და ეს ბრძოლა ძირითადად ცალკეულ სოფლებს შორის მიმდინარეობდა. ეს დაპირისპირება არც თუ იშვიათად, ერთ-ერთი გვარის გაწყვეტით ან სხვაგან გაქცევით მთავრდებოდა. ამ ბრძოლის შედეგად მიაჩნია მ. კოსვენს მრავალი ნასოფლარის არსებობა. სინამდვილეში ეს ნასოფლარები, ნანგრევები ადრინდელი ქართველი მოსახლეობის საკუთრება იყო.[50]

მიმოვიხილეთ, რა შიდა ქართლის ათვისება ოსური მოსახლეობის მიერ და შევქმენით ზოგადი სურათი. კომპაქტურ დასახლებებს ოსები მე-17 საუკუნიდან ქმნიან ქართლის მთიანეთში, კონკეტულად ლიახვის ხეობის სათავეებში, თრუსოს ხეობაში, მაღრან დვალეთში. აქედან ისინი იწყებენ თანდათანობით უფრო სამხრეთით ჩამოსახლებას და სხვადასხვა ხეობის ათვისებას, მათ შორის ქსნის ხეობის,სადაც ეს პროცესი შედარებით გვიან განხორციელდა. ვ.აბაევი მიიჩნევდა, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე კერძოდ კუდაროსა და ჯავის რაიონებში ოსთა დასახლება რამდენიმე საუკუნის წინ მომხდარა, ხოლო ქსნის ხეობაში ოსთა დამკვიდრებას გვიანი პერიოდით განსაზღვრავს“.[51]

## თავი V. ქსნისხეობისოსურიმოსახლეობა

როგორც უკვე ვახსენეთ ქსნის ხეობის ათვისებას ოსები შედარებით გვიან ახდენენ, განსხვავებით დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, თრუსოს ხეობებისგან. ისინი ქსნის ხეობაში სახლდებიან როგორც უწინ დასახლებული ქართლის ხეობებიდან, ისე პირდაპირ ჩრდილო კავკასიის ხეობებიდან.

[50]თოფჩიშვილი რ., დასახელებული ნაშრომი, გვ.153

[51]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ. 77

„დიდი ლიახვის სათავეებიდან ოსები თანდათანობით ვრცელდებიან სამხრეთისკენ, გადადიან მდინარეების: მც. ლიახვსა და ქსნის ვიწროებში. ვახუშტის აღწერილობის მიხედვით, XVIII ს. პირველ ათეულ წლებში მათ უკავიათ მიწები სოფ. გუფთადან დიდი ლიახვის გასწვრივ მის სათავეებამდე, გერის ხეობა, ვანათს რომ ეკვრის, მც, ლიახვის ზემო დინება, ჟამური (ქსნის სათავე); ოსთა ცალკეული დასახლებანი ჩანან ჭურთას, ისროლის-ხევის, ქოლოთ-ქვიტკირის ხეობებში და სხვა. ამავე დროს ნაწილობრივ უკავიათ ოსებს კუდაროც. როგორც ჩანს, ქსნის სათავეებში მათ შეაღწიეს შედარებით უფრო გვიან ვიდრე მც. ლიახვის სათავეებში. ვახუშტის რუკის მიხედვით, XVIII ს. 30-იან წლებში ოსურ ახალშენებს უკვე ეკავათ დვალეთი (ნარ-მამისონის ქვაბული), ჯეჯორის, ლიახვისა და ქსნის სათავეები. აღნიშნული რაიონების რიგ სოფლებში ოსები ადგილობრივ მკვიდრ ქართულ მოსახლეობასთან შერევით ცხოვრობდნენ, რომლებიც ეწაფებოდნენ და ითვისებდნენ ქართველთა განვითარებულ სამეურნეო და სამწერლობო კულტურას. [52]

„პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს: 1746 წელს „უკუდგნენ ოვსნი ერისთვისანი და დაუწყეს ცემა ზემო-ქართლსა“. ერეკლე მეფემ კახეთის მოსაზღვრე ლეკები დაიქირავა, ჩაუყენა სათავეში მაჩაბელი და იასე ამილახორის შვილი: „გაუსივეს უკუმდგართ ოსთა, ააოხრეს ოსეთი და გარდავიდნენ იმერეთს,“ მართალია პ.ორბელიანი არ აკონკრეტებს რომელ საერისთავოში მოხდა ოსთა „უკუდგომა“, მაგრამ მონათხრობის კონტექსტიდან იგრძნობა, რომ ლაპარაკია ქსნის საერისთავოში მცხოვრებ ოსებზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შანშე ერისთავის ანტი ირანული გამოსვლის დამარცხებისას (1741 წ.) ქსნის საერისთავოში უამრავი ადამიანი დაიხოცა, ბევრიც თურქეთში გადავიდა და გათურქდა, ხოლო ცხრაასი ადამიანი, ავღანელმა ჯარისკაცებმა ზოგი დახოცეს და

[52]საქართველოს ისტორიის ნარკვევები_ტომი IV ნაწილი I, 1973, გვ.432

ზოგიც დაყიდეს, შეიძლება დავასკვნათ: ადგილობრივ მოსახლეობისგან დაცლილ ქსნის საერისთავოში ოსთა ჩამოსახლება ეტაპობრივად მიმდინარეობდა“[53].

„სავარაუდოა, რომ ქსნის ხეობაში ოსები შედარებით უფრო გვიან დასახლდნენ. ისინი აქ პატარა ლიახვის ხეობებიდან უნდა გადმოსულიყვნენ XVIII ს-ში, რადგან ცნობილია, რომ ოსების პირველი ახალშენები დიდი და პატარა ლიახვის ზემო წელზე დაეფუძნენ მეჩვიდმეტე საუკუნეში“.[54]

ნ.ვოლკოვა ქსნის ხეობაში ოსთა დასახლების საკითხს შემდეგნაირად გვთავაზობს - „ის წერს, რომ ოსთა ჯგუფები, რომლებიც გადმოსახლდნენ დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, საუკუნეთა განმავლობაში ეშვებოდნენ საქართველოს მთისწინა და ბარის ოლქებში. მათ თანდათან დაკარგეს თავიანთი ტრადიციები, მშობლიური ენა, ეთნიკურ თვითშეგნება და ქსნის ხეობის მთისწინეთსა და ბარში ოსთა ცალკეული ჯგუფები შეერწყნენ ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასო“.[55]

XVIII საუკუნეში ჩატარებული ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობების (1774 და 1783 წ) მიხედვით, ქსნის ხეობის მოსახლეობის უმრავლესობა ქართული ჩანს.

ერეკლეII-ის დავალებით შედგენილ1770 წლისმოსახლეობის მიახლოებითი აღწერის მიხედვით, არაგვის საერისთავოს ოსნი ზახაში, თრუსოში, ჭერივში, ხადასა და ღუდაში

[53]ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისავოს პოლიტიკური ისტორია, თბილისი, 2007, გვ.276. ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981. გვ.113

[54]ვახტანგაშვილი მ., ოსთა განსახლების საკითხისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 2014, გვ.52

[55]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ. 104

შეადგენდა1200 კომლს, ქსნის საერისთავოს ოსნი2000 კომლს, სამაჩაბლოს ოსნი 860 კომლს. ამ აღწერის მიხედვით ოსები აღმოსავლეთ საქართველოში სხვაგან არ ჩანან.[56]

ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ ქსნის საერისთავოზე რომელიც ქსნის ხეობის გარდა სხვა ხეობებსაც აერთიანებდა. „1770 წლის აღწერით საერისთავოში 2000 კომლი ფიქსირდება ხოლო 1814 წლის კამერალური აღწერით 1028. ლოგიკურად 1770 წლის მერე ოსურ მოსახლეობას უნდა მოემატებინა, რადგან ეს ის პერიოდია, როცა აქტიურად ხდება ოსთა მოწოლა, თუნდაც დვალეთის მხრიდან. სახეზე კი გვაქვს 1814 წელს განახევრებული რაოდენობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არაზუსტია 1770 წელს ჩატარებული აღწერები და კომლობრივი რაოდენობა ხელოვნურდაა გაორმაგებული.

აქვე დავამატებთ, რომ რ.თოფჩიშვილის გამოკვლევით 1770 წელს ქსნის საერისთავოში ოსთა კომლობრივი რაოდენობა 564 კომლით უნდა განისაზღვროს.[57]

„XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის ქსნის ხეობის ოსური მოსახლეობის შესახებ შეგვიძლია მოვიშველიოთ „ნუსხა ქსნის ოსების საკომლო მამულებისა“, რის მიხედვითაც ოსების საერთო რაოდენობა გამოდის 184 კომლი. მათი ძირითადი ნაწილი კი ხეობის სულ ზემო წელში - ჟამურში და ჭურთაში ყოფილა კონცენტრირებული. (ორივეში ერთად 113 კომლი)“.[58]

ვახუშტი, რომელიც თავისი ნაშრომით ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს ოსთა ჩამოსახლების საკითხის განხილვისთვის საქართველოში პირდაპირ მიუთითებს ქსნის ხეობის ადრინდელ მკვიდრ მოსახლეობაზე, რომელიც იყვნენ ქართველნი და მის დროს უკვე შეცვლილია ოსური მოსახლეობით. – ,,ხოლო ქსნისმამულნი, რომელნი

---

[56]სონღულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბილისი, 2009, გვ.72.
ქართულისამართლისძეგლები - ტომი II - საეროსაკანონმდებლოძეგლები (X-XIX სს.) - ტექსტებიგამოსცა, შენიშვნებიდასაძიებლებიდაურთოპროფ. ი. დოლიძემ - თბილისი 1965

[57]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ.164

[58]თოფჩიშვილი რ., დასახელებული ნაშრომი, გვ.162-163

დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა. არსმთანი შემკობილნი ყუავილითა და ბალახითა... დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის მომნდობნი და მომნებელნი და სმენ მუნებურნი; უწოდებენ ვეძას; პირუტყოთ შემრგო, გამასუქებელი. ხოლო რაოდენი ოვსნიდავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნიბარათა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან, არამედ ჩვეულებას ამ ოსთასა დავსწერეთ მის ადგილას, ოსეთის აღწერასა შინა".[59]

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის თვალსაჩინო ქართველი მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე  იოანე ბაგრატიონი, რომელმაც ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის დავალებით 1794-1799 წლებში  შეადგინა ნაშრომი „ქართლ-კახეთის აღწერა" მოგვითხრობს ქსნის ხეობის სოფლებზე, რომელიც მეფის ძე იოანეს ჰქონდა ნაყიდი სააზნაუროებით და ეკლესიის მამულით.[60] სოფლებს მიწერილი აქვს გვერდით, მოსახლეობა ცხოვრობს, თუ ნასახლარადაა ქცეული. აგრეთვე შესაძლებელია მცხოვრებთა ეროვნული კუთვნილების გარჩევა.  „ქსნის ხეობა რ(ომე)ლიც თვის ეყოდა მეფის ძეს იოანეს სააზნაუროებით და ეკკლესიის მამულნიც არიან აქა" ეს სოფლები იყო:

ქ. თეზი, მოსახლენი

ქ. ლამისყანა, მოსახლენი

ქ. ოძისი, მოსახლენი

ქ. კორინთლიანთ სოფელი,

რ(ომე)ლსა ილტოზა ეწოდება

ქ. ახალგორი, ყასაბა ქალაქი, მოსახლენი

ქ. საფაშეთი (ოსები არიან მოსახლე) 2, მოსახლენი

ქ. მეტეხია მოსახლენი

ქ. ქურთა, მოსახლენი

ქ. ნახიდი, მოსახლენი

ქ. გეზერეთი, მოსახლენი

ქ. საძეგური 3, მოსახლენი

[59]ყაუხჩიშვილი ს., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ.363-364

[60]ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, მეცნიერება, 1986, გვ.36

ქ. ახშადი, მოსახლენი

ქ. ოფნევი, ძველი სასახლე, მოსახლენი

ქ. იკოთი 2, მოსახლენი

ქ. ამას ზეით ოსის სოფელი, მოსახლენი

ქ. ძეგლევი, მოსახლენი

ქ. ცხაოტი 3, მოსახლენი

ქ. წირქვალი 2, მოსახლენი

ქ. მონასტერი, მოსახლენი

ქ. კორინთა, მოსახლენი

ქ. ცხრაწყარო, მოსახლენი

ქ. ალევი 3, მოსახლენი

ქ. ხარბალი მოსახლენი

ქ. ოსის სოფელი, მოსახლენი

ქ. ქარჩოხი ხეობა არს. სოფელი 7, მოსახლენი

ქ. ლოგოშეთი, მოსახლენი

ქ. ამასვე მიეწერება ოსები, მოსახლენი

ქ. მშველიეთი, მოსახლენი

ქ. ლომისა, მოსახლენი

ქ. ჟურულის სოფელი, მოსახლენი

ქ. ოხირი, მოსახლენი

ქ. ჭურთას ქართველის სოფელი 2, მოსახლენი

ქ. ჟამური ხეობა არს, ოსები მოსახლეობენ

სოფელი 9. მოსახლენი

ქ. ჭურთას ოსის სოფელი, ხეობა, 8. მოსახლენი

ქ. ძაბოეთი ოსის სოფელი, მოსახლენი.

ქ. ამას იქით ქსნის მაღრან- დოვლეთი

ქ. ცხრა ძმა ხეობა არის. სოფელი 7, მოსახლენი

ოსები. მოსახლენი, სოფელი 6

ქ. ამასვე მიეწერება მეჯუხი ოსები, მოსახლენი[61]

[61]ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, მეცნიერება, 1986, გვ.36

ავტორის მიერ წარმოდგენილ დასახლებულ პუნქტთაგან ზოგიერთი არის ოსებით დასახლებული. მაგალითად: საფაშეთი (საფერშეთი), ოსის სოფელი, იფნევის ზემოთ ოსის სოფელი, რომელსაც დასახელება არ აქვს მიწერილი, ჭურთას ოსის სოფელი, ძაბოეთი, ქარჩოხის ხეობაში არსებული სოფელი სადაც ოსებიც მკვიდრობენ, ჟამურის ხეობა, ცხრა ძმის ხეობა, რომელსაც მიეწერება მუჯუხის ოსები.

როგორც უკვე ვახსენეთ ქსნის ხეობა იყო ადგილი, სადაც ოსური მოსახლეობა შედარებით გვიან დამკვიდრდა, როგორც ჩრდილო კავკასიიდან და  დვალეთიდან, ისე ქართლის ხეობებიდან, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, მეჯუდის ხეობებიდან...

XIX ს-ის პირველ 10 წელს ოსთა მიგრაცია ხდებოდა ქსნის ხეობაში, მეჯუდას ხეობაში, არაგვის ხეობაში. მაგალითად, ქსნის ხეობაში პატარა ლიახვის ხეობიდან, დროის აღნიშნულ მონაკვეთში, 33 კომლი ოსი მიგრირებულა (საფეშეთში - 8, ჟამურში - 3, ჭურთაში - 4..). იმ დროისთვის ქსნის ხეობაში ოსები მის სათავესა (ჟამურში) და შენაკადი ხეობების (ჭურთა, საფეშეთი) სათავეებში მკვიდრობდნენ. ხეობა მთლიანად ქართული იყო.[62]

1814 წლის აღწერით ქსნის ხეობაში დაფიქსირებულია 343 კომლი.[63]

ქვემოთ  დეტალურად გავშლით შემდეგ ხევებს და ქსნის შენაკადებს: ჟამურის, ალევის, ჭურთის, ცხრაზმისა და ქარჩოხის ხეობებს. ჩვენთვის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს 1804 წლის პირველი კამერალური აღწერა, რომელიც მანამდე ჩატარებული სხვადასხვა აღწერებთან შედარებით უფრო სრულყოფილ ვერსიას წარმოადგენს. როგორც ი.ალიმბარაშვილი გვეუბნება „მოსახლეობის პირველი კამერალური აღწერა აღმოსავლეთ საქართველოში განხორციელდა გენერალ პავლე ციციანოვის 1803 წლის 2 აპრილის ცირკულარის საფუძველზე. აღწერა მოიცავდა მხოლოდ გადამხდელ მოსახლეობას, მამაკაცებისგან განსხვავებით, სიებში მდედრობითი სქესის მხოლოდ

[62]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ. 167-168

[63]თოფჩიშვილი რ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 164

რაოდენობას აღნუსხავდნენ სახელებისა და გვარების გარეშე. აღწერა არ ეხებოდა პრივილეგირებულ წოდებებს და უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებს“[64]

### ა) ჟამური

ჟამური - ხეობა აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე ქსნის ერთ-ერთი შენაკადი, რომელიც მას უერთდება დასავლეთიდან. იგი მდებარეობს ქარჩოხის ჩრდილო-დასავლეთით.

ვახუშტი ამბობს „ქარჩოხის დასავლეთით არის ჟამური. ამჟამად აქ სახლობენ ოსები. ჟამურის შუაში არის ბერციხედ წოდებული ციხე, რომელიც ქსანზე და კლდეზე დგას“. ავტორი არ ასახელებს კონკრეტულად ჟამურის სოფლებს, თუმცა ლოკალიზება მაინც გასაგებია. თუ გავითვალისწინებთ ნაშრომის შექმნის თარიღს, ე.ი მე-18 საუკუნის პირველ ნახევარს ამ დროისთვის ჟამურში უკვე მკვიდრობენ ოსები. ქსნის ხეობის მასშტაბით ჟამური იყო პირველი სამოსახლო ოსებისთვის.

ბერ-ციხეს შემდეგნაირად ახასიათებს დ. გვრიტიშვილი „ბერ-ციხე სოფელ ხეთაანთსა და თოგოიანის შორის, ორხევს შუა, სოფ. ქვემო ბაგინის ძირში მდებარეობს. ბერ-ციხე, როგორც 1945 წლის სექტემბერში ადგილზე შესწავლით გამოვარკვიე, წარმოადგენდა თავისებურ „ციხე-ქალაქს“. იგი მაღალ კლდეზე მდებარეობს. კლდეს დასავლეთის მხრივ 100 მეტრამდე სიმაღლე აქვს; სამხრეთის მხრივ - 100 მეტრზე მეტი, ხოლო ჩრდილოეთით--25 მეტრი. კლდის თავზე ერთგვარი დავაკება ყოფილა, რომლის ფართობიც 250 მეტრს აღემატება. მას ერთადერთი მისასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონდა, რომელიც ბუნებრივი მონაცემებით საკმაოდ კარგად იყო გამაგრებული. ამ ბუნებრივი სიმაგრისთვის ხელოვნური კლდე-გვირაბიც დაუმატებიათ და ციხე-ქალაქი კიდევ უფრო მიუვალი გაუხდიათ. როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს ავტორს საკუთარი ფეხით მოუვლია ციხის ტერიტორია და დეტალურად აღუწერია მისი გეოგრაფიული მდებარეობა და ფიზიკური პარამეტრები. ციხე ბუნებრივად საკმაოდ

[64]ალიმბარაშვილი ი., ქსნის ხეობის მოსახლეობა 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შრომები ტომი I(VII), 2019, გვ.36

მიუვალ ადგილზეა აგებული და ხელოვნურად კარგად არის გამაგრებული. „ციხის განლაგება ასეთია: ჩრდილოეთის მხარეს მოთავსებულია მაღალი ციხე-კოშკი. ამ კოშკიდან მოჩანს ციხეზე მისასვლელი ყველა გზა, ამიტომ იგი სათვალთვალო კოშკი უნდა ყოფილიყო. ამ კოშკის სამხრეთით საცხოვრებელი ბინები ყოფილა, მისი სამხრეთით სამრეკლო მდებარეობს, უფრო სამხრეთით--ეკლესია, ხოლო ეკლესიის ძირა სართული წარმოადგენს მარანს, საწყობს, საკუჭნაოს; აქ დღემდე შემონახულია ქვევრები“.[65]

გიულდენშტედტი თავის ნაშრომ „მოგზაურობა საქართველოში“ გვიამბობს „ოსური მხარე საფერშეთი ქსანს ზემოთ, მთლიანად ოსურია და მეფეს ექვემდებარება“[66] ესეიგი იმ დროისთვის ქსნის ჩრდილო ნაწილი, ჟამურის ხეობის ზემოთ მთლიანად ოსებით ყოფილა დასახლებული და უშუალოდ მეფის დაქვემდებარებულ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა.

ვ.ღუნაშვილი ამბობს, „შანშემ ქართველი მოსახლეობისგან დაცლილ ჟამურის ხეობასა და საფერშეთში XVIII საუკუნის 30-იან წლებში, ჩამოასახლა გაოსებული დვალები, ხოლო შემდგომ 40-იან წლებში ლიახვის ხეობაში“.[67] ეს ის შანშე ქსნის ერისთავია, რომელიც დაუოკებლად ებრძოდა, როგორც გარეშე მტერს ისე ქვეყნის შიგნით ცენტრალურ ხელისუფლებას. მისი პოზიციიდან და გართულებული საგარეო, თუ საშინაო ურთიერთობებიდან გამომდინარე, სრულიად გასაგებია ოსების მიმართ დაინტერესების მოტივი. შანშეს სჭირდებოდა როგორც ცოცხალი ძალა მებრძოლთა რიგების შესავსებად, ისე მუშა ხელი სამეურნეო თვალსაზრისით.

იმავე ნაშრომში ვკითხულობთ,„შანშეს დამარცხების მიუხედავად ჟამურში მცხოვრები ოსები ყიზილბაშ-ქართველებმა ვერ დაამარცხეს - „ჟამურის ოვსთა აოტეს ხანი და

---

[65]გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955, გვ.64-65

[66]გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში ტომი პირველი, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962, გვ.275

[67]ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისავოს პოლიტიკური ისტორია, თბილისი, 2007, გვ.276

მოწყვიდნეს სპანი მისნი“. მკვლევარების ვ. აბაევის, რ. თოთჩიშვილის, ჯ. გვასალიას მტკიცებით, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, ჟამურში ოსები XVIII ს. 30-იან წლებში უნდა ჩამოსახლებულიყვნენ. ჟამურში მცხოვრებმა ოსებმა, შანშეს დამარცხების მიუხედავად, შეინარჩუნეს ერისთავის ერთგულება და ყიზილბაშთა ჯარიც კი დაამარცხეს. თუმცა ამ გამარჯვებას შანშესთვის არავითარი შედეგი არ მოუტანია“.[68]

მე-19 საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როდესაც რუსეთი განუწყვეტელ ომს აწარმოებდა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ. საქართველოს სამხედრო გზა იყო ერთადერთი დამაკავშირებელი ძარღვი, რომელიც რუსეთს აკავშირებდა ქართლ-კახეთთან. იგი გამოიყენებოდა ტვირთის გადასაზიდად და ჯარის გასატარებლად, რომლის ექსპლუატაცია ადგილობრივ მოსახლეობას აწვა კისერზე. რთულ და გაუსაძლის სიტუაციაში ჩავარდნილი მოსახლეობა ჩიოდა ხელმწიფესთან, რასაც რუსი ჩინოვნიკების მხრიდან დასჯა მოსდევდა. ასე მაგალითად ჟამურელებმა იჩივლეს. პასუხად მათ დამსჯელი ექსპედიცია მოევლინა ანანურის კაპიტან-ისპრავნიკ სტაროსვეტსკის მეთაურობით. თუ როგორ დასაჯა ისინი კაპიტან-ისპრავნიკმა, ამის შესახებ ჟამურელები წერდნენ: „ამას წინათ ის (კაპიტან-ისპრავნიკი) ჟამურს მოვიდა, დაიჭირა ოსები. გობში, საიდანაც ძაღლები სვლეპენ, შრატი ჩაასხა, დახოცა კატები და შიგ ჩაყარა, შიგვე ჩაყარა ადამიანის სიბინძურე და მათ აჭამა. იმავე ოსებს რვა სახლი დაუწვა, სადაც 300 კოდი ქერი დაიღუპა“.[69]

მე-18 სს მეორე ნახევრისთვის „ნუსხა ქანის ოსების საკომლო მამულებისა“ გვაძლევს ცნობებს ჟამურის ხეობაზე. „ქ. ჟამურსსაკომლოორმოცდაცამეტი, ახალსგატეხილსგარდა"[70]

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგისთვის მკვეთრად მოუმატია ჟამურში კომლთა რიცხვს.

---

[68]ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისავოს პოლიტიკური ისტორია, თბილისი, 2007, გვ.262
[69]საქართველოს ისტორიის ნარკვევები_ტომი IV ნაწილი II, 1973, გვ.915-916

[70]ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბილისი, მეცნიერება, 1974, გვ.188

1803 წლის აღწერით ჟამურის ხეობაში დაფიქსირებულია 13 ოსური სოფელი112 კომლით და 756 სულით. მოსახლეობის განაწილება შემდეგნაირია.

1. სიკდა: კომლი - 10, მამაკაცი - 31, ქალი - 28, სულ - 59
2. ციპ: კომლი - 14, მამაკაცი - 50, ქალი - 35, სულ - 85
3. კოსიანი: კომლი - 6, მამაკაცი - 23, ქალი - 14, სულ - 37
4. ჯავათ-კარი: კომლი - 5, მამაკაცი - 14, ქალი - 13, სულ - 27
5. ვაკე: კომლი - 15, მამაკაცი - 80, ქალი - 41, სულ - 121
6. ციხალები: კომლი - 9, მამაკაცი - 41, ქალი - 27, სულ - 68
7. კუდიკიმო: კომლი - 3, მამაკაცი - 10, ქალი - 12, სულ - 22
8. კიბიხანი: კომლი - 9, მამაკაცი - 35, ქალი - 25, სულ - 60
9. თოგოანთი: კომლი - 7, მამაკაცი - 22, ქალი - 14, სულ - 36
10. გორგა: კომლი - 7, მამაკაცი - 20, ქალი - 12, სულ - 32
11. ბაგინი: კომლი - 9, მამაკაცი - 45, ქალი - 37, სულ - 82
12. შუბაგინი: კომლი - 14, მამაკაცი - 47, ქალი - 43, სულ - 90
13. ჩერქაზანი: კომლი - 4, მამაკაცი - 22, ქალი - 15, სულ - 37[71]

1804 წლის კამერალური აღწერების მიხედვით ჟამურის ხეობაში დაფიქსირებულია 10 ოსური სოფელი. კომლი - 103, მამაკაცი - 388, ქალი - 320, სულ - 708 სული.მოსახლეობის განაწილება სოფლებში შემდეგნაირია:

1) სოფელი ზალობაგანი, რომელიც არასწორადაა ჩაწერილი და უნდა იყოს ზემო ბაგინი. დაფიქსირებულია 10 კომლი. აქედან 44 მამაკაცი და 37 ქალი. სულ 81

[71] Акты, собранные кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868, ст.82-83

სული. ისინი ფლობდნენ 24 დღის სახნავ მიწას და 23 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. ჰქონდათ 700 თივა. გადასახადს იხდიდნენ პურის წარმოებითა და მეცხოველეობით. ჯამში გადახდილი აქვთ 48 მანეთი და 70 კაპიკი.

სოფელში ცხოვრობდა შემდეგი გვარები:

1. ჯებილაშვილი - ერთი კომლი
2. ბათარო ფირტ - ერთი კომლი
3. ბათარა ფირტ - ორი კომლი
4. ჯებისა ფირტ - სამი კომლი
5. ჯებისა შვილი - ერთი კომლი
6. ბითარა ფირტ - ერთი კომლი

როგორც ვხედავთ ჯებილაშვილების ერთი კომლი ფიქსირდება. გვარის დაბოლოება ქართული აქვს. აგრეთვე გვარი ჯებისა შვილი, რომლის დაბოლოებაც ქართულია, განსხვავებით ჯებისა ფიტისგან, რომელსაც ქართულის გავლენით თუმცა ოსური ენით აქვს დაბოლოება შექმნილი. „ფირტ“ ნიშნავს შვილს.

2) ქვემო სოფელში აღრიცხულია 15 კომლი. მათ შორის 60 მამაკაცი და 53 ქალი. სულ 113 სული. ისინი ფლობენ 50 დღის სახნავ მიწას და 67 დღის სახნავად უვარგის მიწას. აქვთ 718 თივის ბულული. გადაიხადეს 157 მანეთი და 80 კაპიკი.

სოფელში მოსახლე გვარებია:

1. ცაგოიანი ფირტ - ცხრა კომლი
2. ცოგიიანა ფირტ - ექვსი კომლი

3) სოფელ შუვაბაგანში (შუა ბაგინი)აღრიცხულია 10 კომლი. 33 მამაკაცი და 28 ქალი. სულ 61 სული. ისინი ფლობენ 37 დღის სახნავ მიწას და 27 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. აქვთ 424 თივის ბულული. გადაიხადეს 83 მანეთი და 60 კაპიკი.

სოფელში დაფიქსირებული გვარები:

1. ჯებისა ფირტ - ცხრა კომლი
2. ბიტარა ფირტ - ერთი კომლი

4) სოფელ ჩერქეზანში აღრიცხულია 4 კომლი. 22 მამაკაცი და 16 ქალი. ჯამში 38 სული. ისინი ფლობენ 18 დღის სახნავ მიწას და ამდენივეს სახნავად გამოუყენებელ. აქვთ240 თივის ბულული. გადაიხადეს 31 მანეთი და 20 კაპიკი.

სოფელში დამკვიდრებული გვარები:

1. ჩერქეზა ფირტ - ორი კომლი
2. თორაი ფირტ - ერთი კომლი
3. ბიტარაი ფირტ - ერთი კომლი

5) სოფელ კიბილანში ფიქსირებულია 9 კომლი. აქედან 34 მამაკაცი და 33 ქალი. სულ 67 სული. ისინი ფლობდნენ 27 დღის სახნავ მიწას და ამდენივე სახნავად გამოუყენებელ მიწას. ჰქონდათ 275 თივა. გადასახადს იხდიდნენ პურის წარმოებით და მეცხოველეობით. ჯამში გადახდილი აქვთ 57 მანეთი და 50 კაპიკი.

სოფელში მკვიდრობდა შემდეგი გვარები:

1. ხეტა ფირტ - ერთი კომლი
2. კაბილა ფირტ - ერთი კომლი
3. კიბილა ფირტ - ორი კომლი
4. ხატე ფირტ - ოთხი კომლი
5. კიკძილუ - ერთი კომლი

6) სოფელ გორგაში აღწერილია 5 ოჯახი. აქედან 20 მამაკაცი და 14 ქალი. სულ 34 სული. ისინი ფლობდნენ 16 დღის სახნავ მიწას და 11 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. ჰქონდათ 430 თივა. გადასახადს იხდიან პირის წარმოებითა და მეცხოველეობით. ჯამში გადახდილი აქვთ 17 მანეთი და 40 კაპიკი.

სოფელში დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი გვარი

ბათარა ფირტ - ხუთი კომლი

როგორც ვხედავთ აღნიშნული სოფელი წარმოადგენდა ერთი გვარის საცხოვრებელს მხოლოდ.

7) სოფელ ვაკეში აღწერილია 16 ოჯახი. იგი საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა. 76 მამაკაცი და 42 ქალი. სულ 118 სული. ისინი ფლობდნენ 38 დღის სახნავ მიწას და 73 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. ჰქონდათ 670 თივა. გადასახადს იხდიდნენ პურის წარმოებით და მეცხოველეობით. სულ გადახდილი აქვთ 102 მანეთი და 80 კაპიკი.

სოფელში აღრიცხულია მხოლოდ ერთი გვარის წარმომადგენლები. იქ ცხოვრობდა ვაკელა ფირტ გვარის 16 კომლი.

8) აღწერის მიხედვით სოფელ ხოსიანში ცხოვრობდა 5 კომლი. აქედან 18 იყო მამაკაცი და 21 ქალი. სულ 39 სული. ისინი ფლობდნენ 19 დღის სახნავ მიწას და 15 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. ასევე ჰქონდათ 230 თივა. გადასახადს იხდიდნენ პურით და მეცხოველეობით. სულ გადახდილი აქვთ 30 მანეთი და 50 კაპიკი.

სოფელში მკვიდრობდნენ შემდეგი გვარები:

1. საკინა ფირტ - ორი კომლი
2. ხოსსი ფირტ - ერთი კომლი
3. საკანა ფირტ - ორი კომლი

9) აღწერის მიხედვით სოფელ ციხილებში ცხოვრობდა 17 კომლი. აქედან 70 იყო მამაკაცი და 69 ქალი. სულ 139 სული. ისინი ფლობდნენ 42 დღის სახნავ მიწას და 81 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. ფლობდნენ 750 თივას. მოსახლეობა გადასახადს იხიდიდა პურის წარმოებითა და მეცხოველეობით. სულ გადახდილი

აქვთ 103 მანეთი და 65 კაპიკი. როგორც ვხედავთ საკმაოდ მოზრდილი სოფელი იყო და გადასახადის გადახდაც შედარებით მაღალი ციფრი უფიქსირდებათ.

სოფელში მკვიდრობდნენ შემდეგი გვარის წარმომადგენლები:

1. გურჯი (გურჯო, გურჯა) ფირტ - რვა კომლი
2. გაგაი ფირტ - ოთხი კომლი
3. გურჩაი ფირტ - ორი კომლი
4. გურდჩი ფირტ - ორი კომლი
5. კურდჩაი ფირტ - ერთი კომლი

10) სოფელ ცაგო იყო პატარა სოფელი. იქ ცხოვრობდა 3 ოჯახი. აქედან 11 მამაკაცი და 7 ქალი. ჯამში 18 სული. ისინი ფლობდნენ 15 დღის სახნავ მიწას და ამდენივე სახნავად გამოუყენებელს. გადასახადს იხდიდნენ პურის წარმოებითა და მეცხოველეობით. ჯამში გადაიხადეს 7 მანეთი და 80 კაპიკი.

სოფელში მკვიდრობდა შემდეგი გვარის წარმომადგენლები:

1. ბიტარა ფირტ - ერთი კომლი
2. ბედა ფირტ - ერთი კომლი
3. ბედაი ფირტ - ერთი კომლი[72]

ხეობის სამ აღწერას თუ შევადარებთ ერთმანეთს განსხვავებას დავინახავთ. მე-18 საუკუნის ბოლოსკენ ჩატარებულ „ქსნის ოსების საკომლო მამულები“ დაფიქსირებულია 53 კომლი. 1803 წელს დაფიქსირებულია 112 კომლი, 756 სულით, ხოლო 1804 წელს 94 კომლი, 708 სულით. აღნიშნული აღწერების მიხედვით პირველ შემთხვევაში 59 კომლით გაიზარდა ხოლო მომდევნო წელს კლებაშია წასული. ერთ წელიწადში ოსურმა

[72]გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, N7486, გვ.140

მოსახლეობამ მოიკლო 18 კომლით და 48 სულით. აღნიშნული ფაქტი შეიძლება აიხსნას მიგრაციით. ჟამურის ხეობიდან თანდათანობით ბარისკენ მიიწევდნენ ოსები.

ჟამურში 9 ოსური სოფელი ჩანს 1814 წლის აღწერით: გორგა, ბაგინი, ნავისხევი, თოგოიანთკარი, ვაკესოფელი, სოფელციხე, ხიტიანთსოფელი, წინსოფელი, ჯავათკარი. ამ დროს ხეობაში 112 კომლი ოსი მკვიდრობდა. სოფელში საშუალოდ 12 კომლზე მეტი.[73]ესეიგი 10 წელიწადში წინა აღწერის შემდეგ 18 კომლით მომატებულა და გაუთანაბრდა 1803 წლის მდგომარეობას.

## ბ) ქარჩოხი

ქსნის ხეობის დიდ მნიშვნელობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, მისი ადგილმდებარეობიდან და მნიშვნელოვანი გამავალი გზების არსებობიდან გამომდინარე. მასში შემავალ ქარჩოხის ხეობაზე დ. გვრიტიშვილი ამბობს „ქსნის ხეობაში ქარჩოხი ადგილმდებარეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი იყო. ქარჩოხის გავლით შეიძლებოდა მოხვედრა არაგვის ხეობაში ლომისის მთის გადასასვლელით. „ახალგორი--იკოთი--კორინთა--საძეგური--მონასტერი (ლარგვისი)--ქარჩოხი--ჟამური. ეს გზა წარმოადგენდა „საქალაქო გზის“ ჩრდილოეთის გაგრძელებას. ამ გზას ქარჩოხის ციხესთან უერთდებოდა ლომისის მთის გადასასვლელი. ამ გადასასვლელით შეიძლებოდა მისვლა არაგვის ხეობაში -- სოფ. მლეთთან და იქიდან დარიალის ხეობით--ჩრდილოეთ კავკასიაში“.[74]

ქარჩოხის ხეობის დედა-ციხე ამავე სახელწოდების ციხე გახლდათ, რომელსაც ადგილობრივები ცხმორის სახელითაც მოიხსენიებენ. თავის დროზე მისი აღება ვერ შეძლო შალვა ქვენიფნეველის წინააღმდეგ გამოლაშქრებულმა დავით მერვემ. 1625 წელს კი მარაბდის ველზე განცდილი მარცხის შემდეგ, ქართველებმა ქსნის ხეობაში,

[73]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ.146

[74]გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955, გვ.159

ქარჩოხის ციხესთან გადაუხადეს სპარსელებს სამაგიერო. მტერმა ამ ბრძოლაში 12 000 მეომარი დაკარგა.[75]

1774 წლის აღწერით ქარჩოხის ხეობაში შედის 11 სოფელი. მოგვიანებით, 1783 წლის აღწერით 12 სოფელია ფიქსირებული. ეს გამოწვეულია იმით რომ წინა აღწერისას გოლგოლეთის მოსახლეობა მიაკუთვნეს ქენქაანთკარს.[76]

1774 წელს აღწერილი 11 სოფლიდან და 1783 წლის აღწერის 12 სოფლიდან ყველა ქართულია. ქარჩოხის ხეობაში არცერთ ოსურ სოფელი არ ფიქსირდება.

მე-18 საუკუნის ბოლოს ქსნის ხეობის ოსების საკომლო მამულების ნუსხაში ლომისა და ოხირია მოხსენიებული თოთხმეტი საკომლოთი.[77]

იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილ ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ რომელიც დათარიღებულია 1794-1799 წლებით, მოხსენიებულია ქარჩოხის ხეობა, რომელსაც მიწერილი აქვს ოსი მოსახლენი. რაოდენობა უცნობია.[78]

1803 წელს ი. ბაგრატიონის მიერ ჩატარებულ აღწერაში 19 სოფელია მოხსენიებული, (ზოგიერთი შეცდომითაა მითვლილი ქარჩოხის ხეობას), ჯამში 1615 მოსახლით. აქედან ორი ოსური სოფელი. (ლომისი და ოხირი) ჩვენ გვაქვს საშუალება მშრალად, მაგრამ წინა აღწერებთან შედარებით მეტი სიზუსტით კომლობრივი და სულადობრივი რაოდენობის განსაზღვრა.

ლომისის მოსახლეობა: სულ ცხოვრობს 5 კომლი. აქედან 14 სული მამაკაცი და 7 სული ქალი. სულ 21 სული.

ოხირის მოსახლეობა: 9 კომლი. აქედან 22 მამაკაცი და 14 ქალი. სულ 36 სული.

---

[75]ახლოური დ., ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, 2020, გვ.1

[76]ახლოური დ., ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, 2020, გვ.1

[77]ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბილისი, მეცნიერება, 1974, გვ.188

[78]ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, მეცნიერება, 1986, გვ.36

ორივე სოფლის გაერთიანებით ვიღებთ 14 კომლს, 57 მოსახლით.

1803 წლის მონაცემებით ხეობაში 1558 ქართველი და მხოლოდ 57 ოსი ფიქსირდება.[79]

ბოლო ორი აღწერის კომლობრივი რაოდენობა ემთხვევა ლომისას და ოხირის შემთხვევაში.

1804 წლის სტატისტიკური აღწერებით ქარჩოხში არის 13 სოფელი. აქედან ორი ოსური სოფელია, ლომისი და ოხირი. მასალები, რომლებიც ინახება გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, გვაძლევს შემდეგ ცნობებს.

ლომისის მოსახლეობა 8 კომლს ითვლის. სოფელში ცხოვრობს 31 მამაკაცი და 29 ქალი. ჯამში 60 სული. მათ აქვთ მფლობელობაში 26 დღის სახნავი მიწა და 40 დღის სახნავად გამოუყენებელი მიწა. ასევე აქვთ 230 თივა. სოფელმა ჯამში გადაიხადა 58 მანეთი და 70 კაპიკი.

სოფელში ცხოვრობს ექვსი სხვადასხვა  გვარის წარმომადგენლები:

1. კასა ფირტ - ერთი კომლი
2. აფცი ფირტ - ორი კომლი
3. გაჯა ფირტ - ორი კომლი
4. პაჯა ფირტ - ერთი კომლი.
5. გუალი ფირტ - ერთი კომლი
6. ხოჯა ფირტ - ერთი კომლი

აღწერის მიხედვით სოფელ ოხირში ფიქსირებულია 8 კომლი. აქედან 37 მამაკაცი და 35 ქალი. ჯამში 72 სული. ისინი ფლობენ 23 დღის სახნავ მიწას და 45 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. აქვთ 310 თივა. გადასახადს იხდიან პურის წარმოებითა და მეცხოველეობით. სულ გადახდილი აქვთ 72 მანეთი და 20 კაპიკი.

[79]Акты,  собранные кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868, ст.82-83

სოფელში ცხოვრობენ შემდეგი გვარის წარმომადგენლები:

1. პერსა ფირტ - ერთი კომლი
2. გოლა ფირტ - ორი კომლი
3. ბიბილუ ფირტ - ერთი კომლი
4. გუდი ფირტ - ერთი კომლი
5. ჯაბისა ფირტ - ერთი კომლი
6. ბაგინა ფირტ - ერთი კომლი
7. ხინჩაგაშვილი - ერთი კომლი[80]

სოფლის მკვიდრ 8 ოჯახიდან ერთს აქვს ქართული დაბოლოვებით გვარი (ხინჩეგაშვილი). სხვა ოჯახებს ოსური ენის დაბოლოვებით, თუმცა ქართულის გავლენით. „ფირტ“ - შვილი.

1803 წლის და 1804 წლის აღწერები ორ ოსურ  სოფელში შემდეგ სურათს გვიხატავს:ლომისის მოსახლეობა 1803 წელს განისაზღვრა 21 სულით. მომდევნო წელს დაფიქსირდა  60 სული. ოხირის მოსახლეობა 1803 წელს იყო 36  სული. მომდევნო წელს აღირიცხა 72 სული. განსხვავება ერთ წელში საოცრად დიდია. ბუნებრივია მატება გამოწვეული იყო ხელოვნური გზით, გადმოსახლების ხარჯზე.

ოსური სოფლები - ლომისი, ოხირი, ასევე ქსნის სათავეებთან მდებარე ჟამურისა და ბაგინის სოფლები მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან ნასახლარებად იქცნენ, ნაწილი ქართლის ბარში გადასახლდა, ნაწილი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. ბოლო მოსახლე ვინც ქარჩოხს ზემოთ ჟამურის ხეობაში ცხოვრობდა ილიკო ჩიგოევი იყო.[81]

## გ) ცხრაზმა

ცხრაზმის ხევი - მდინარე ქსანს ერთვის ლარგვისის ზემოთ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

---

[80]გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, N7486, გვ.81-83

[81]ახლოური დ., ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, 2020, გვ.14

ხეობაში მდებარე საფორტიფიკაციო ნაგებობებს შორის დიდი მნიშვნელობისმქონე ძეგლია უკანუბნის ციხე. დ.გვრიტშვილის აზრით, „განსაკუთრებით საყურადღებოა უკანუბნის ციხე. იგი ცხრაძმის ხეობის დასასრულს მდებარეობს, სწორედ იმ ხეობაში, სადაც გადმოცემით პირველად საერისთავო წარმოიშვა. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელი სწორკუთხედია, ხოლო დანარჩენი კედლები კონუსის ფორმისაა. ციხეს არტყია უზარმაზარი ლოდებისაგან გაკეთებული გალავანი. ის ფაქტი, რომ ციხეს „სათოფურები“ არა აქვს უთუოდ მის სიძველეზე მიგვითითებს. გადმოცემით, როცა როსტომი გაერისთავდა მათ „იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა“.[82]

გერმანელი მეცნიერი, გიულდენშტედტი, რომელმაც იმოგზაურა საქართველოში, შემდეგ ინფორმაციას გვაძლევს ხეობაზე, „ოსური მხარე ვანათი. ქციას (ქსანი), ჟამურსა და ლომისის ზევით, ყველა ქსანს ზემოთ, ემორჩილებიან ქართლის მეფეს და ქართლის თავადებს. ამ მხარეებიდან ოსთაგან [დასახლებულია]: ცხრაზმა ანდა ცხრაზმულა“.[83] ამ წყაროთი ჩვენ ვიგებთ რომ მისი მოგზაურობის დროს ესეიგი მე-18 საუკუნის 80-იან წლებში ცხრაზმა უკვე დასახლებული ყოფილა ოსებით.

თუმცა მეცნიერი არ აკონკრეტებს ხეობის სოფლებს, რომლებიც ოსებითაა დასახლებული. დაახლოებით იმავე პერიოდის სტატისტიკური აღწერები, ხეობაში ოსურ დასახლებას არ აფიქსირებს, მაგრამ ქსნის ხეობის ოსების მამულების ნუსხაში, რომელიც თარიღდება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრით, მუჯუხში მოიხსენიება თორმეტიკომლი ოსი.[84]

---

[82]გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955, გვ.65

[83]გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში ტომი პირველი, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962, გვ.273-275

[84]ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბილისი, მეცნიერება, 1974, გვ.188

იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილ ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ რომელიც დათარიღებულია 1794-1799 წლებით, ნახსენებლია ცხრაძმა, რომელსაც მიწერილი აქვს მუჯუხის ოსები, თუმცა რაოდენობა არ არის დაკონკრეტებული.[85]

იოანე ბატონიშვილის 1803 წლის აღწერით, ცხრაძმის ხეობაში ფიქსირდება 18 სოფელი, 1273 მოსახლით, საიდანაც 1123 სული, აღწერილია ეროვნებით ქართველად და მხოლოდ 150 სულს უწერია ეროვნებით ოსი.

სოფლების მიხედვით მათი განაწილება შემდეგნაირია

1. მუჯუხი: კომლი - 6, მამაკაცი - 61, ქალი - 40, სულ - 101
2. წინ-სოფელი: კომლი - 5, მამაკაცი - 13, ქალი - 12, სულ - 25
3. ჩიჩიანთი: კომლი - 3, მამაკაცი - 6, ქალი - 6, სულ - 12
4. ლორო: კომლი - 2, მამაკაცი - 6, ქალი - 6, სულ - 12

სულ: კომლი - 16, სული - 150[86]

1804 წლის კამერალური აღწერა:

სოფელი მუჯუხში აღწერილია 15 კომლი. 66 მამაკაცი და 57 ქალი. სულ 123 სული. ისინი ფლობდნენ 69 დღის სახნავ მიწას და 81 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. ჰქონდათ 440 თივა. გადასახადს იხდიდნენ პურის მოყვანით და მეცხოველეობით. სულ გადაიხადეს 21 მანეთი. შედარების თვალსაზრისით, სხვა სოფლებთან შედარებით მკვეთრად ნაკლები გადასახადი გადაუხდიათ მუჯუხის მცხოვრებთ.

სოფელში ცხოვრობდა შემდეგი გვარები:

1. მუჯოხა ფირტ - 15 კომლი.[87]

[85]ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, მეცნიერება, 1986, გვ.36
[86]Акты, собранные кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868, ст.82-83

როგორც ვხედავთ ამ სოფელში დასახლებული იყვნენ, მხოლოდ  მუჯუხოს გვარის წარმომადგენლები.

ორ სხვადასხვა აღწერას თუ შევადარებთ ერთმანეთს, რომელთა შორის ერთი წელია სხვაობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ 1803 წელს ნახსენები ოთხი სოფელი (მუჯუხი, წინ-სოფელი, ჩიჩიანთი და ლორო) შემდეგ წელს გაუერთიანებიათ და ერთ სოფლად დაუწერიათ. მოსახლეობის სულადობრივ რაოდენობას რაც შეეხება, 1803 წელს აღრიცხულია 150 სული, ხოლო 1804 წელს 123 სული. მე-18 საუკუნის ბოლოს აღწერილ ოსთა საკომლო მამულებში მხოლოდ მუჯუხია მოხსენიებული 12 კომლით. აშკარად ჩანს 1803 წლის აღწერისას სოფელი მუჯუხი ჩაშლილია უბნებად.

## დ) ჭურთა

ჭურთის ხევი ქსანს ერთვის მარჯვნიდან ლარგვისის მონასტერთან. მას სათავე აქვს ხარულის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე. ხეობის სიგრძეა 18 კილომეტრი.

ჭურთის ხეობის სოფლებს გიულდენშტედტი შემდეგნაირად აღწერს „ჭურთა ანუ ჟამური. ქსნის შენაკად ჭურთაზე. მისი სოფლებია: 1. დელკანი 2. ნგოშე (?) 3. ხამატატკან (?) 4. ჩაგოლ (?) 5. კუპპეკან (?) 6. ჩიმეტიკან (?) 7. ბაგინი 8. მიდაკუკან (?) 9. გორგა 10. ძევოიანი 11. თოგოიანი 12. მასიკეკან (?) 13. ჯავათკარი 14. სიდა 15. კუცხოეთი 16. ველისი 17. მასიკციხე (?) 18. საბარკლეთი 19. ქალაქა 20. სკატე (?) 21. ჭურთა 22. ცქუნეთი 23. ჯანგანთკარი 24. კორა 25. ცალკაკი (?) 26. შმორი 27. ქარელთკარი 28. ბულხავი (?) 29. შატაკიანთკარი 30. ბეგოთკარი 31. ყველდაბა 32. ხნიბალი (?) 33. ძაბოეთი 34. იპეეთი (იკეთი?) 35. მოჭალ(ი)ეთი 36. დორეთკარი 37. გავაზი 38. ილურთკარი 39. ფუჭიანთკარი 40. მეწყერი.

[87]გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, N7486,გვ.138

ესენი არიან ერთმანეთში არეული ქართული და ოსური სოფლები, რომლებიც კარგად ეთვისებიან ერთმანეთს“.[88] ესეიგი მეცნიერს ხეობაში მოხსენიებული აქვს 40 სოფელი, რომელთა მოსახლეობა ნარევია ქართული და ოსური მოსახლეობის.

ჭურთის ხეობაზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც ქსნის საერისთავოს ერთ-ერთი სავაჭრო პუნქტიდან „მეჯვრისხევიდან“ მიემართებოდა ისროლის ხეობაში, იქიდან ჭურთის ხეობაში, გაივლიდა ქარჩოხს და გადადიოდაარაგვის ხეობაში. „მეჯვრისხევი--ისროის ხეობა--ჭურთის ხეობა--ქარჩოხის ხეობა--ლომისის გადასავალი--არაგვის ხეობა--დარიალის ხეობა--ჩრდილო კავკასია“.[89]

ჟამურის სამხრეთით არის ჭურთის ხევი. ქსნის ერისთავი შანშეს მიერ ცენტრალური ხელისუფლების დაუმორჩილებლობის და მათ შორის მომხდარ შეტაკებებში მონაწილე ვახუშტი ბატონიშვილი წერს - „სამხრით ჟამურისა არის მთა, განმყოფელი ჭურთისა და ჟამურისა, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. ამ მთის სამხრით არს ჭურთის-ხევი, რომლისა წყალი გასდის ამავ მთასა, და სად ერთვის ამ წყალს ცხრაწყაროს-წყალი, მუნ, ამ ორთა შუა, არს ციხე წინკიბე, ფრიად მაგარი. ამ ორთა ხევთა უწოდებენ ჭურთას“.[90]

ჭურთაში მდებარეობს ციხე წინკიბე. საერთოდ ეს ხევი მდიდარია საფორტიფიკაციო ნაგებობებით, ისევე როგორც მთლიანად ქსნის ხეობა.

ლარგვისთან მდინარე ქსანს მარჯვნიდან ერთვისჭურთის ხევი. ჭურთა ვახუშტის რუკაზე ცალკე სტრუქტურული ერთეულია, სადაც აღნიშნულია9 სოფელი.

---

[88]გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში ტომი პირველი, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962, გვ.275

[89]გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955, გვ.160

[90]ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისავოს პოლიტიკური ისტორია, თბილისი, 2007, გვ.233

მე-18 საუკუნის ბოლოს გაკეთებული „ნუსხა ქსნის ოსების საკომლო მამულებისა ფიქსირებულია „ქ. ჭურთასსამოციკომლი, მომეტებულსახალს-ახალსგატეხილებსგარდა"[91]

იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილ ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ რომელიც დათარიღებულია 1794-1799 წლებით, მოხსენიებულია ჭურთაში ოსი მოსახლენი. რაოდენობა უცნობია. იქვე აღწერილია სოფელი ძაბოეთი, სადაც ოსები მკვიდრობენ. რაოდენობა არ გვაქვს მოცემული.[92]

1803 წლის იოანე ბატონიშვილის აღწერით ჭურთის ხეობაში დაფიქსირებულია 20 სოფელი, რომლის მოსახლეობა სულადობრივად 1307 შეადგენს. აქედან 13 სოფელი არის ოსური, 119 კომლით და 942 სულით. მხოლოდ შვიდი სოფელი არის ქართული 365 მოსახლით.

ოსური სოფლები აღწერის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება

1. ძაბაგეთი:კომლი - 11, მამაკაცი - 73, ქალი - 32, სულ - 105
2. საბარკლეთი: კომლი - 18, მამაკაცი - 72, ქალი - 65, სულ - 137
3. კარა: კომლი - 9, მამაკაცი - 44, ქალი - 32, სულ - 76
4. უცხოეთი (სწორი ფორმა „კუცხოეთი“): კომლი - 14, მამაკაცი - 62, ქალი - 47, სულ - 109
5. ველისი: კომლი - 4, მამაკაცი - 32, ქალი - 23, სულ - 55
6. კალაკა: კომლი - 8, მამაკაცი - 42, ქალი - 23, სულ - 65
7. ციხე: კომლი - 5, მამაკაცი - 17, ქალი - 9, სულ - 26
8. ჯარტესი: კომლი - 11, მამაკაცი - 51, ქალი - 36, სულ - 87
9. ჯანგათ-კარი: კომლი - 5, მამაკაცი - 38, ქალი - 24, სულ - 62
10. ლორო: კომლი - 11, მამაკაცი - 48, ქალი - 32, სულ - 80
11. ცხრა-წყარო: კომლი - 12, მამაკაცი - 36, ქალი - 39, სულ - 75

[91]ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბილისი, მეცნიერება, 1974, გვ.188
[92]ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, მეცნიერება, 1986, გვ.36

12. ბესელთა: კომლი - 6, მამაკაცი - 27, ქალი - 14, სულ - 41

13. საქარეთი: კომლი - 5, მამაკაცი - 14, ქალი - 10, სულ - 24[93]

1804 წლის კამერალური აღწერებით ჭურთის ხეობაში 11 სოფელი ფიქსირდება, რომელთა საერთო რაოდენობა არის: კომლი - 123, მამაკაცი - 591, ქალი - 423, სულ - 1014 სული.

1) სულსოფელჯორთისშიცხოვრობს18კომლი, აქედან 90 მამაკაცია. 41 ქალი. ჯამში 131 სული. სოფელში მკვიდრობენ შემდეგი გვარები:
   1. მელაძე ფირტ - 14 კომლი.
   2. ესეაი ფირტ - 1 კომლი.
   3. ელაი ფირტ - 1 კომლი.
   4. ზაბეგა ფირტ - 1 კომლი.
   5. კაკაი ფირტ - 1 კომლი.

სოფელში უმრავლესობას წარმოადგენენ მელაძეების გვარის წარმომადგენლები.

სოფლის მცხოვრებთა მფლობელობაშია 74 დღისსახნავიმიწა, 42 დღის - სახნავადგამოუყენებელი მიწა, 126 თივა. გადასახადს იხდიან პურის წარმოებითა და მეცხოველეობით.სულ გადახდილიაქვთ 101 მანეთიდა 4 კაპიკი.

2) სულსოფელჯანგათ-კარშიცხოვრობს 5 კომლი. მათ შორის 30 მამაკაცი, 23 ქალი. ჯამში 53 სული. მათმფლობელობაშია 28 დღისსახნავიმიწა, 23 დღის - სახნავადგამოუყენებელი, 115 თივა,

გადასახადსიხდიანპურისწარმოებითადამეცხოველეობით.გადახდილიაქვთ 73 მანეთი.

სოფელში მკვიდრობს შემდეგი გვარები:

1. მელაძე ფირტ - 1 კომლი

[93]Акты, собранные кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868, ст.82-83

2. სედაი ფირტ - 1 კომლი
3. ოსაი ფირტ - 1 კომლი
4. სენაი ფირტ - 2 კომლი

3) სოფელციხეში აღწერის მიხედვით ფიქსირდება 7 კომლი. აქედან 22 მამაკაცი და 16 ქალი. ჯამში 38 სული. ისინი ფლობდნენ 33 დღის სახნავ მიწასა და 16 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. აქვთ 175 თივა. გადასახადს იხდიდნენ პურის წარმოებითა და მეცხოველეობით. სულ გადაიხადეს 71 მანეთი და 95 კაპიკი.

სოფელში დაფიქსირებულია შემდეგი გვარები:

1. ხანჯაარა ფირტ - ერთი კომლი
2. ალუხა ფირტ - ერთი კომლი
3. ხინჩაგა ფირტ - ერთი კომლი
4. ჩინჩიგაძე ფირტ - ერთი კომლი
5. ჩინდჩარა ფირტ - ერთი კომლი
6. ხინდჩეგო ფირტ - ერთი კომლი
7. საბაი ფირტ - ერთი ოჯახი

4) სოფელი კარა, შედარებით მოზრდილი სოფელი. კომლთა რაოდენობა 13. აქედან მამაკაცი - 55, ქალი - 41. ჯამში 96 სული. ისინი ფლობდნენ 49 დღის სახნავ მიწას და 26 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. ჰქონდათ 207 თივა. გადასახადს იხდიდნენ პურის წარმოებითა და მეცხოველეობით. გადახდილი აქვთ 105 მანეთი და 55 კაპიკი.

სოფელში ცხოვრობდა შემდეგი გვარის წარმომადგენლები:

1. ზოზრი ფირტ - ოთხი კომლი
2. ზოზრიო ფირტ - ოთხი კომლი
3. ტარაი ფირტ - ორი კომლი

4. კურა ფირტ - ერთი კომლი
5. კურამა ფირტ - ორი კომლი

5) სოფელ ველისაში აღწერილია 5 კომლი. აქედან 31 მამაკაცი და 29 ქალი. ჯამში 60 სული. ისინი ფლობდნენ 28 დღის სახნავ მიწას და 14 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. ჰქონდათ 62 თივა. გადასახადს იხდიან საქონლით და ცხვრით. სულ გადაიხადეს 66 მანეთი და 70 კაპიკი. აღსანიშნავია რომ ქურთაულების ერთი კომლი არ ფლობს მიწას, შესაბამისად არ იხდის გადასახადს. იგი გამომუშავებაზეა

სოფელში დაფიქსირებულია შემდეგი გვარები:

ალუხა ფირტ - ერთი კომლი

სალუხა ფირტ - ერთი კომლი

გაჩუადა ფირტ - ორი კომლი

ქურთაული - ერთი კომლი

6) სოფელ საბარკლეთში აღრიცხულია 21 კომლი. აქედან 98 მამაკაცი და 87 ქალი. ჯამში 185 სული. ისინი ფლობენ 111 დღის სახნავ მიწას და 53 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. აქვთ 341 თივა. გადაახდს იხდიან როგორც ფულის ისე ნატურის სახით. ჯამში გადაიხადეს 277 მანეთი და 80 კაპიკი.

სოფელში დაფიქსირებულია შემდეგი გვარები:

1. ჩოკურა ფირტ - ხუთი კომლი
2. გულარაშვილი - ერთი კომლი
3. ბუძაი ფირტ - ერთი კომლი
4. ციკროშუ ფირტ - სამი კომლი
5. ცაკუშა ფირტ - ორი კომლი
6. ქურთაულა სამი და ქურთაული ორი კომლი

7. ჩერიკა ფირტ - ერთი კომლი
8. სოკორაი ფირტ - ერთი კომლი
9. სოკორა ფირტ - ერთი კომლი

როგორც ვხედავთ სოფელი საკმაოდ მრავალრიცხოვანი სულადობით გამოირჩევა. სახნავი მიწის ფართობიც ბევრად აღემატება სახნავად გამოუყენებელ მიწებს. შედარებით ძლიერი სოფელი ჩანს და გადასახადსაც მეტს იხდიან.

7) სოფელი ჩარანში აღრიცხულია 8 კომლი. აქედან 42 მამაკაცი და 32 ქალი. სულ 74 სული. ისინი ფლობენ 33 დღის სახნავ მიწას და 23 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. აქვთ 149 თივა. იხდიან როგორც ფულის ისე ნატურის სახით. ჯამში გადაიხადეს 71 მანეთი და 70 კაპიკი.

სოფელში დაფიქსირებულია შემდეგი გვარები:

1. ჩარაი ფირტ - ხუთი კომლი
2. კალბაი ფირტ - სამი კომლი

8) სოფელ კუცხოეთში აღრიცხულია 16 კომლი. აქედან 82 მამაკაცი და 69 ქალი. ჯამში 151 სული. ისინი ფლობენ 101 დღის სახნავ მიწას და 51 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. აქვთ 193 თივა. გადასახადს იხდიან როგორც ფულით ისე ნატურის სახით. ჯამში გადაიხადეს 151 მანეთი და 20 კაპიკი.

სოფელში მკვიდრობს შემდეგი გვარები:

1. ელკანა ფირტ - ერთი კომლი
2. მუზაურა ფირტ - ერთი კომლი
3. კორბელაძე ფირტ - ერთი კომლი
4. ბელკანა ფირტ - ერთი კომლი
5. ზარბეკა ფირტ - სამი კოლმი
6. ჩოფანა ფირტ - ხუთი კომლი
7. ჩაფანა ფირტ - ერთი კომლი

8. კარობელა ფირტ - ორი კომლი
9. კარაბელა ფირტ - ერთო კომლი

გვარებით თუ ვიმსჯელებთ, მაგალითად „კორბელაძე“ ეროვნებით ქართველი უნდა იყოს. სახელებიც ქართული აქვთ. დ.ახლოური ფიქრობს კარობელა და კარაბელა ფირტებიც იგივე კორბელაძეები არიან.

9) სოფელ ძაბუეთში აღრიცხულია 15 კომლი. აქედან 77 მამაკაცი და 45 ქალი. სულ 122 სული. ისინი ფლობენ 67 დღის სახნავ მიწას და 44 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. აქვთ 204 თივის ზვინი. გადასახადს იხდიან ფულით და ნატურით.

სოფელში ფიქსირებულია შემდეგი გვარები:

1. გუში ფირტ - ერთი კომლი
2. მუზაი ფირტ - შვიდი კომლი
3. კუსაი ფირტ - ორი კომლი
4. გოჩაი ფირტ - ერთი კომლი
5. კაძილა ფირტ - ორი კომლი
6. გოჩა ფირტ - ერთი კომლი
7. კაძაი ფირტ - ერთი კომლი

შენიშვნა: სოფელი ძაბუეთი მდებარეობს ქარჩოხის ხეობაში, მაგრამ აღწერების მიხედვით შეცდომით მითვლილია ჭურთის ხეობას.

10) სოფელ ჩხუნეთში აღრიცხულია 9 კომლი. 44 მამაკაცი და 25 ქალი. სულ 69 სული. ისინი ფლობენ 34 დღის სახნავ მიწას და 26 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. აქვთ 71 თივის ბულული. იხდიან როგორც ფულით, ისე ნატურით. მემამულეს გადაუხადეს 60 მანეთი და 60 კაპიკი.

სოფელში მკვიდრობს შემდეგი გვარები:

1. მელაძე ფირტ - რვა კომლი
2. ნაგაძე ფირტ - ერთი კომლი

ჩხუნეთი ეკუთვნოდა გლახი ფიცხელაურს. სწორედ მის მიწაზე არიან დასახლებული ზემოთ ნახსენები  კომლები, რომლებიც გადასახადს უხდიან მემამულეს.

11) სოფელი ლოროში (ადრინდელი „ქერდიყოანთ სოფელი“)  აღწერილია 6 კომლი. აქედან 20 მამაკაცი და 15 ქალი. ჯამში 35 სული. ისინი ფლობდნენ 10 დღის სახნავ მიწას და 14 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. გადახდილი აქვთ 16 მანეთი და 40 კაპიკი.[94]

სოფელში მკვიდრობდა ექვსი კომლი ქერძეყოშვილები (ქერდიყოშვილები). წყაროში მოხსენიებულნი არიან როგორც ქართველები.

მაშ ასე, 1803 წლის აღწერაში დაფიქსირებულია 13 სოფელი (ძაბაგეთი, საბარკლეთი, კარა, კუცხოეთი, ველისი, კალაკა, ციხე, ჯარტესი, ჯანგათ-კარი, ლორო, ცხრა-წყარო. ბოსელთა, საქარეთი).

1804 წელს აღწერილია 11 სოფელი (ძაბუეთი, კუცხოეთი, ველისა, საბარკლეთი, ჩარანი, კარა, ციხე, ჯორთისი, ჩხუნეთი, ჯანგათ-კარი, ლორო)

როგორც ვხედავთ აღწერებს შორის ზოგიერთი სოფლის დასახელებებს შორის განსხვავებაა. მაგალითად: ძაბაგეთი-ძაბუეთი, ველისი-ველისა, ჯარტესი-ჯორთისი.

1803 წელს ნახსენებ სოფლებს კალაკას, ცხრა-წყაროს, ბოსელთას და საქარეთს ვერ მოეძებნა შემდეგ წელს გაკეთებულ აღწერებში ანალოგი. ისევე როგორც 1804 წლის აღწერაში არის ორი სოფელი: ჩარანი და ჩხუნეთი, რომელიც არ არის ნახსენები წინა წლის აღწერაში. ვფიქრობთ იმ ოთხი სოფლიდან რომელიმე სოფელს შეესაბამება

[94]გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, N7486, გვ.84-101

ბოლო წელს ნახსენები ჩარანი და ჩხუნეთი. ორი სოფელი კი ჩემი აზრით მითვლილია სხვა რომელიმე სოფელს.

სულადობრივ რაოდენობას თუ შევადარებთ 1804 წელს შედარებით ნაკლები ფიქსირდება.

ჭურთის ხეობაში ოსური მოსახლეობის რაოდენობა იყო:

1803 წლის მონაცემებით - 942 სული

1804 წლის მონაცემებით - 916 სული

ჭურთის ხეობაში 1814 წლის აღწერით სამი ოსური სოფელი ფიქსირდება 108 კომლით.[95]

## ე) ალევი

ალევის ხეობა - მდინარე ალეურა ქსნის მარცხენა შენაკადი, რომელიც უერთდება ქურთასთან. იგი სათავეს იღებს ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, საფერშეთის მთის მახლობლად. ხეობა არის ღრმა, ვიწრო და ტყიანი. მდინარის სიგრძე 21 კილომეტრია. ხეობაში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სახელგანთქმული ტაძარი, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე, რომელიც ცნობილია ოქროსკარიანი სამების სახელით. მთავარი ეკლესია თარიღდება VIII-IX საუკუნეებით, ხოლო მცირე X საუკუნით.

გიულდენშტედტი რომელმაც საქართველოში იმოგზაურა 1771-1772 წლებში თავის ნაშრომ „მოგზაურობა საქართველოში“ ახდენს საფერშეთის ლოკალიზებას „საფერშეთი მდებარეობს ქსანსა და არაგვს შორის ზემოთ ლოწობანთან. ის ემორჩილება ქართლის მეფეს და შეიცავს 6-ოდე სოფელს“ [96]ი.ბაგრატიონის მიხედვით XVIII საუკუნის ბოლოს, ალევის ხეობაში სამი ოსური სოფელი წარმოქმნილა, ალევის ხეობის სათავეში (საფერშეთში) ორი.

---

[95]თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ.146

[96] გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოშიტომი მეორე, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964, გვ.63

დ.ახლოური ფიქრობს, რომ განსხვავებით ჟამურის და ჭურთის ხეობისგან, სადაც ოსები XVIII საუკუნის 30-იან წლებში უკვე ცხოვრობდა, ალეურას ხეობაში ისინი უფრო გვიან დასახლდნენ.

ქსნისოსებისსაკომლომამულებისნუსხისმიხედვით, რომელიცდათარიღებულიარაადასავარაუდოდ, XVIIIსაუკუნისბოლოპერიოდსგანეკუთვნება „საფეშეთში" მითითებულია 20 კომლი, „ახალსგატეხილსგარდა".[97] „ახალგატეხილში" ახალისაკომლოებიიგულისხმება, რომლებსაცუწევდათახოებისგატეხვა.

იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილ ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ რომელიც დათარიღებულია 1794-1799 წლებით, საფაშეთში ჩანს 2 კომლი, ხოლო ალევში 3 კომლი ოსი.[98]

1803 წლის აღწერით სოფელშეთში (საფერშეთი) დაფიქსირებულია 15 კომლი. აქედან 76 მამაკაცი და 53 ქალი. სულ 129 სული.

სოფელი ბისალთა (ბოსელთა) 15 კომლი. მამაკაცი 61. ქალი 49. სულ 110 სული.[99]

ბოსელთა და ქერდიყოაანთკარი მოხსენიებულია მე-18 საუკუნის ბოლოს აღწერილ „ნუსხა ქსნის ოსების საკომლო მამულებისა“. „ქერდიყოათსოფელთა და ბოსელთა საკომლო ათი“[100]

ჯამში 1803 წელს ალევის ხეობაში ფიქსირდება 30 კომლი, 239 სული ოსით დასახლებული.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საფერშეთში 25 ოჯახი ცხოვრობდა (სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს მითვლილი რამდენიმე ახლომდებარე სოფლის, მათ შორის გდუვის ოსური

[97]ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბილისი, მეცნიერება, 1974, გვ.188

[98]ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, მეცნიერება, 1986, გვ.36

[99]Акты, собранные кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868, ст.82-83

[100]ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, მეცნიერება, 1986, გვ.36

მოსახლეობაც, რომლის შესახებაც საუბარია ქსნის ოსთა საკომლო მამულების ნუსხაში - ხუთი კომლი[101]).

1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ისინი არიან ოსები:სოფელ საფერშეთში აღრიცხულია 25 კომლი. აქედან 112 მამაკაცი და 99 ქალი. სულ 211 სული. ისინი ფლობენ 109 დღის სახნავ მიწას და 176 დღის სახნავას გამოუყენებელ მიწას. აქვთ 909 თივის ზვინი და ერთი წისქვილი. იხდიან ნატურით და ფულით. ჯამში მათ გადაიხადეს 62 მანეთი და 55 კაპიკი.

სოფელში აღწერილია შემდეგი გვარები:

1. ბედა ფირტ - სამი კომლი
2. ბედოა ფირტ - ხუთი კომლი
3. ზაალი ფირტ - ერთი კომლი
4. ბედოა შვილი - ორი კომლი
5. ზალუა ფირტ - ერთი კომლი
6. ხოსროა ფირტ - სამი კომლი
7. ზოლოა ფირტ - ერთი კომლი
8. ოლიგასუა ფირტ - ერთი კომლი
9. ოლიგელუა ფირტ - ერთი კომლი
10. ჩაროკოა ფირტ - ერთი კომლი
11. ალოკოა ფირტ - ერთი კომლი
12. ხალოა ფირტ - ერთი კომლი
13. ხოსოა ფირტ - ოთხი კომლი[102]

[101]ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბილისი, მეცნიერება, 1974, გვ.189

[102]გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, N7486, გვ. 52-55

სოფელი გამოირჩევა სხვადასხვა გვარის მცხოვრებთა მრავალფეროვნებით. ძნელია იმის განსაზღვრა რამდენადაა ერთი და იგივე (ბედა, ბედოა და ბედოა შვილი) ან (ხოსროა და ხოსოა) და ა.შ შესაძლოა აღმწერს აქვს შეცდომა დაშვებული ჩაწერისას ან მართლაც სხვადასხვა გვარს წარმოადგენდნენ აღნიშნული კომლები.

განსხვავებას თუ დავაკვირდებით შევამჩნევთ, რომ ერთ წელიწადში საფერშეთში 15 კომლი გადაიქცა 25 კომლად, 129 სული კი გახდა 211. ზუსტად ვერ ვიტყვით ასეთი მკვეთრი სხვაობა რა მიზეზით არის გამოწვეული, თუმცა ამ საკითხზე საკუთარი შეხედულება აქვს დ.ახლოურს „იოანე ბატონიშვილის 1803 წლის საუფლისწულოს აღწერის მიხედვით „სოფელშეთში" 15 კომლია მითითებული, 76 მამაკაცი და 53 ქალი. რა თქმა უნდა, მომდევნო ერთ წელში დემოგრაფიული ვითარება ასე მკვეთრად არ შეიცვლებოდა, როგორც ჩანს, საფერშეთის მხარის სხვა მოსახლენიც არიან აღწერილნი რუსულ წყაროში. მოსახლეობის კუთვნილ მიწებს და გადასახადებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ სახნავად გამოუყენებელი მიწები აღემატება დამუშავებული მიწის ფართობს, გეოგრაფიულად საფერშეთის მხარე მაღალმთიანია და მცირე მოსავლიანი. ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა გახლდათ, გადასახადების მცირე ნაწილს იხდიან ფულის სახით, ძირითად ნაწილს კი იხდიან ნატურით: ცხვრით, კარაქით, ყველით..."[103]

1814 წლის აღწერით საფერშეთში მოხსენიებულია 68 ოსური კომლი.[104]ე.ი ბოლო აღწერიდან 10 წლის შემდეგ საფერშეთში არსებული 25 კომლი გაიზარდა 68 კომლამდე.

იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილ ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა" რომელიც დათარიღებულია 1794-1799 წლებით, მოხსენიებულია იფნევის ზემოთ არსებული ოსის სოფელი. სოფლის სახელი და მოსახლეობის რაოდენობა უცნობია.[105]

სოფელი ხრომისწყარო, რომელიც 1804 წლის კამერალური აღწერების მიხედვით ოსური სოფელია, არც ერთ ხეობას არ მიეკუთვნება. იგი მდებარეობს ჭურთის ხეობის ზემოთ,

[103]ახლოური დ., საფერშეთი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში (ხელნაწერი), გვ.3-4
[104]თოთჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997, გვ.164
[105]

ქარჩოხის ხეობასთან. მასთან ახლოს არის ქართული სოფლები; გავაზი და ნახიდი. სოფლის სახელწოდებით თუ ვიმსჯელებთ იგი სუფთა ქართული ძირის უნდა იყოს, მაგრამ ალბათ ავბედითმა დრომ, მასაც გაუცია კერა და აქცია ნასახლარად, სადაცმოგვიანებით დამკვიდრდა ოსური მოსახლეობა. სოფლის ასე გაპარტახება და განადგურება, უცხო არ იყო აღნიშნული მხარისთვის. მაგალითად ცხრაძმის ხევზე არსებული სოფელი უკანუბანი, წყაროს მიხედვით,სამჯერ დასახლებული, მოღონიერებული და სამჯერ აყრილი ჩანს.[106]

1804 წელს სოფელხრომისწყაროშიცხოვრობდა 6 კომლი. 23 მამაკაციდა 18 ქალი. სულ 41 სული. ისინი ფლობდნენ 26 დღისსახნავმიწას და42 დღისსახნავადგამოუყენებელ მიწას. ჰქონდათ 94 თივა.გადახდილიაქვთ 98მანეთიდა 40 კაპიკი.

სოფელში ცხოვრობდა შემდეგი გვარები:

1. კარკუჩა ფირტ - 1 კომლი
2. ლაზარა ფირტ - ერთი კომლი
3. გოგოჩა ფირტ - ერთი კომლი
4. ტოტინაძე ფირტ - ერთი კომლი
5. ტორკნიძე ფირტ - ერთი კომლი
6. კარნუსაი ფირტ - ერთი კომლი

როგორც ვნახეთ ექვსი სხვადასხვა გვარის ხალხი მკვიდრობდა სოფელში განაწილებული თითო კომლად.

უნდა ითქვას, რომ ქსნის ხეობის ოსთა საკომლო მამულების ნუსხაში ხრომისწყარო მოხსენიებულია, როგორც „ხლომის წყარო“, სადაც რვა კომლია აღრიცხული.[107]

[106]ქენქაძე ვ., ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი, თბილისი, მწიგნობარი, 2008, გვ.40
[107]ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბილისი, მეცნიერება, 1974, გვ.189

ჩვენი დაჯამებული მონაცემებით 1803 წლის აღწერით ქსნის ხეობაში დაფიქსირებულია 291 ოსური კომლი და 2144 სული.

1804 წლის აღწერით ხეობაში ფიქსირებულია279ოსური კომლი და 2229 სული.

შენიშვნა: 1804 წლის აღწერის საერთო მონაცემებში შევიტანეთ სოფელი ლოროს მოსახლეობა, გვარად ქერძეყოშვილები (კომლი-6, სული-35), რომლებიც 1804 წლისაღწერაში აღრიცხულები არიან ეროვნებით ქართველებად. იმავე სოფლის 1803 წლის აღწერით, სოფელში ცხოვრობდა (კომლი-11, სული-80), თუმცა წყარო მათ ქართველობას არ მიანიშნებს. ჩვენ ორივე აღწერის საბოლოო დაჯამებულ რაოდენობაში, ლოროს მცხოვრებნი ოსურ მოსახლეობასმივათვალეთ.

ერთი წლის ინტერვალით ჩატარებულ აღწერებს შორის სხვაობა გვაქვს. მართალია კომლობრივი რაოდენობა შემცირებულია 12 ერთეულით, თუმცა სულადობრივი რაოდენობა გაზრდილია85 ერთეულით.

რაც შეეხება ქსნის ხეობაში ოსების და ქართველების ურთიერთობას, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობდა კეთილმეზობლური ურთიერთობები, ისევე როგორც ქართლის სხვა ხეობების მსგავსად, დიდი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა შერეული ქორწინებების, ხელოვნური დამოყვრების, მეგობრული ურთიერთობების და და საერთოდ ყოველდღიური ცხოვრების დონეზე. ოსების გადმოსახლებას ხეობაში, მოჰყვა მათ მიერ, ქართული კულტურის აქტიური ათვისება.„ჩრდილოკავკასიისმთიანეთიდანემიგრირებულმაოსებმაკარგადშემოინახესრასამშობლოდანმოყოლილიმამაპაპურიტრადიციები, ახალსაცხოვრებელგარემოშიასევეშეითვისესდაშეისისხლხორცესდამხვდურიქართულიმოსახლეობისყოფისადაკულტურისნორმები. მეზობლურისიახლოვეაპირობებდააგრეთვექართველმთიელთამიეროსურიწეს-ჩვეულებებისგაცნობასდარიგშემთხვევაშიმათგამოყენებასაც“.[108]ოსების სალაპარაკო ენა გახდა ქართული. საკონტაქტო ზოლში მცხოვრები ქართველებიც ფლობდნენ ოსურ ენას.

[108] ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974, გვ.70

„ოსების საქართველოს მთიანეთში დასახლებას მოჰყვა ადგილზე დამხვდურ ქართველთა მცირე ნაწილის მიერ ოსური ენის შეთვისება და ოსთა მიერ მათი ეთნიკურ-ენობრივი ასიმილაცია. დღემდე ქსნის ხეობის შენაკად ჭურთის ხევზე სოფელ დორეთკარში მცხოვრები ქართველი ილურიძეები (40-მდე ოჯახი) ორენოვანნი არიან. ორენოვნება კი ძირითადად შერეულმა საქორწინო ურთიერთობებმა წარმოქმნა. ქსნის ხეობაში ანალოგიური სიტუაცია სხვაგანაც დასტურდება. მაგალითად, სოფელ ნახიდში, მთხრობელის სიტყვით, „ბევრი ფსუტური გაოსდა და ფსუტურები თვითონ უფრო ოსურად ლაპარაკობენ“.“[109]ზოგადად ეთნიკურ დონეზე დაპირისპირება მათი ჩამოსახლების მომენტიდან არ იგრძნობოდა. მართალია ისინი უცხონი იყვნენ, თუმცა ქართველები არ დახვედრიან მათ როგორც მტრებს. ეთნიკური ნიშნით დაყოფა უცხო იყო მოსახლეობას შორის.ნ.თადეოზიშვილი 1884 წლის გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ ნომერში წერდა, რომ „მთასაქეთა ოსებში დიდი გავლენა აქვთ ქართველებს. ოსი მამაკაცები ყველა ლაპარაკობს ქართულად, ხოლო ის ნაწილი ოსებისა, რომლებიც დასახლებულნი არიან ქართული სოფლების სიახლოვეს, ქალებიც და ბავშვებიც ლაპარაკობენ ქართულად. არათუ ლაპარაკობენ, არამედ წერა-კითხვაც იციან. მთისიქით ოსები რამდენადაც რუსობას მისდევენ, იმდენად ქართველობას მისდევენ მთისაქეთა ოსები. მათ თავი მოაქვთ იმით, რომ ქართული წერა-კითხვა იციან, ახლო სოფლების მცხოვრებნი ერთმანეთს აძლევენ ცოლად ქალებს. ასე რომ, შერეული ოჯახები ჩვეულებრივი სახეა მათი ცხოვრებისა“.[110]თანაცხოვრება მიმდინარეობდა ჰარმონიულად (ერთეული შემთხვევები და ოსი ბანდიტების თავდასხმები ეთნიკურ კონფლიქტს და მასიურ სახეს არ წარმოადგენდა). რა თქმა უნდა, ჩამოსახლებულ მშვიდობიან ოსთა შორის ადრიდანვე არსებობდა განსხვავებული კატეგორიის წარმომადგენლებიც, რომელთა მიმართვას საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ აქტიურად ეწეოდა ჯერ მეფის რუსეთი, მოგვიანებით საბჭოთა კავშირი და დღეს უკვე თანამედროვე რუსეთის ფედერაცია.

[109]თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, გვ.147-148

[110]თოფჩიშვილი რ., დასახელებული ნაშრომი, გვ.149-150

რუსული ხელისუფლება ყოველთვის მიმართავდა „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკას. იმპერიულმა ძალებმა მოახერხა თავისივე შექმნილ და გაჩაღებულპოლიტიკურ კონფლიქტს, ეთნიკური კონფლიქტის სახე მისცემოდა. დღესდღეობით შედეგი უმძიმესი გვაქვს. რამდენიმე საუკუნის წინ მოსულ ოსებს დამხვდურმა ქართველებმა მეგობრობის ხელი გავუწოდეთ და ძმებად მივიღეთ. თანდათანობით, სეპარატისტული მიდრეკილებების გაჩენის დღიდან აქტიური მცდელობებით და იმპერიის წაქეზებით დღეს ქართლის გულში, ძირძველ ქართულ მიწაზე შექმნილია სრულიად უცხო, გაუმართლებელი, პოლიტიკური ანომალია, ე.წ „სამხრეთ ოსეთი“.

მინდა აღვნიშნო ის, რომ საბედნიეროდ მრავლად არსებობენ ოსი ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც შექმნილ ვითარებას ქართველების მსგავსად დიდად განიცდიან. მათი სამშობლო საქართველოა და ვიმედოვნებთ, ახლო მომავალში მოვახერხებთ საზღვრის მიღმა დარჩენილ ოს ძმებთან ერთად გაერთიანებას და ერთმანეთს შევეჯიბრებით საქართველოს აღმშენებლობა-გაძლიერების საქმეში.

## დასკვნა

1. ქსნის ხეობა თავისი ბუნებრივი და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე შიდა ქართლისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის იყო.
2. ქსნის ხეობის ზედა წელზე (ახალგორის მხარე) გასულ საუკუნეებში მეურნეობის თვალსაზრისით წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა. მიწათმოქმედებას დამხმარე ხასიათი ჰქონდა.
3. დვალეთი, როგორც ქართული ეთნოგრაფიული მხარე, უძველესი დროიდან შედიოდა ქართლის სამეფოს დაქვემდებარებაში. აღნიშნულ რეგიონში ოსური მოსახლეობის შეღწევა და დამკვიდრება იწყება XV საუკუნიდან, რამაც საფუძველი დაუდო დვალების გაოსების საკითხს.
4. ქართლის მთიანეთში ოსური კომპაქტური დასახლებები გაჩნდა მე-17 საუკუნიდან, უმთავრესად დვალეთიდან გადმოსახლებული დვალი ოსების შედეგად.

5. ქსნის ხეობაში ოსური მოსახლეობის დამკვიდრება მოგვიანებით პერიოდს განეკუთვნება. იგი მიმდინარეობდა ლიახვის ხეობიდან მიგრირებული და ჩრდილო კავკასიიდან პირდაპირ გადმოსული ოსების მიერ და დაიწყო დაახლოებით მე-18 საუკუნის შუა ხანიდან.
6. ქსნის ხეობაში ოსური მოსახლეობა თანდათან მატულობდა, ძირითადად მიგრაციის ხარჯზე. კავკასიონის ვიწრო და უნაყოფო ხეობებში გამომწყვდეული ოსებისთვის, სამხრეთით, ქართლის ხეობების ათვისება მათი ცხოვრების პირობებს მკვეთრად აუმჯობესებდა. მართალია საწყის ეტაპზე ისინი იკავებდნენ კვლავ ხეობის სათავეებს, სადაც გარემო და პირობები მათი უწინდელი საცხოვრისისგან დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ მათი წინსვლა მზარდი იყო.
7. მე-18 საუკუნის დასაწყისში ოსური მოსახლეობა ჩანს მხოლოდ ჟამურის სოფლებში, ხოლო საუკუნის ბოლოსთვის მათი განსახლების არეალი იზრდება და მოიცავს ჭურთის, ალევის, ქარჩოხისა და ცხრაზმის ხეობებს.
8. პირველი კამერალური აღწერის შედეგებით, რომელიც თარიღდება 1804 წლით, ქსნის ხეობაში ოსების რაოდენობა წინა საუკუნესთან შედარებით მნიშვნელოვნად მომატებულია. აღწერის მიხედვით საერთო ჯამში 2229 სული ოსი დაფიქსირდა.
9. ოსების ჩამოსახლებას ქართლის ხეობებში, რომელსაც პერმანენტული ხასიათი ჰქონდა, არ გამოუწვევია ქართული მოსახლეობის უარყოფითი განწყობა. მათი დასახლების დროიდან მოყოლებული ქართველების დამოკიდებულება ძმური და მეგობრული იყო.
10. მას შემდეგ, რაც ოსები აღმოჩნდნენ ქართული კულტურის გავრცელების არეალში აქტიურად დაიწყეს ქართული ენის ათვისება. მათთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ენის ფლობის საკითხს. ქართველების და ოსების სალაპარაკო ენა ქართული იყო.
11. ოსურმა მოსახლეობამ ქართლში თავისი ცხოვრების წესების მოტანის პარალელურად აქტიურად დაიწყო ქართული ზნე-ჩვეულებების მიღება და ათვისება. ქართველთა მიბაძვით მათი ყოველდღიური ცხოვრების სტილი დაემსგავსა ადგილობრივებისას.

## გამოყენებულილიტერატურა და წყაროები


1. სერგი მაკალათია, ქსნის ხეობა, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968.
2. გვასალია ჯ., ქართლის ხეობათა შედარებითი სწავლებისთვის („ქსნური ფენომენი“) თბ. 1998
3. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, სახელგამი, 1955.
4. ბატონიშვილი ვ., საქართველოს სამეფოს აღწერა, ნაწილი პირველი, თბილისი, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივერიონი“, 2012
5. ჩიტაია გ., ქსნური მთის გუთანი, „ენიმკის მოამბე“, ტ. V-VI, თბილისი, 1940
6. ითონიშვილი ვ., ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1974.
7. თოგოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1969.

8. ხარაძე კ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, თბილისი, 2003.
9. ითონიშვილი ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი, მეცნიერება, 1992.
10. თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა (სალექციო კურსი), თბილისი, 2007.
11. თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, ლომისი, 1997.
12. თოგოშვილი გ., საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. სტალინირი, 1958.
13. თოფჩიშვილი რ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში.
14. ვახტანგაშვილი მ., ოსთა განსახლების საკითხისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისი, 2014.
15. ჭიჭინაძე ზ., ოსეთის ისტორია, ტფილისი, სორაპანი, 1913.
16. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები - შიდა ქართლი, თბილისი, 1983.
17. ქენქაძე ვ., ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი, თბილისი, მწიგნობარი, 2008.
18. სონღულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბილისი, 2009.
19. ითონიშვილი ვ., ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიიდან, თბილისი, 1995.
20. საქართველოს ისტორიის ნარკვევები_ტომი IV ნაწილი I, 1973.
21. ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისავოს პოლიტიკური ისტორია, თბილისი, 2007.
22. ყაუხჩიშვილი ს., ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973.
23. ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, მეცნიერება, 1986.
24. ალიმბარაშვილი ი., ქსნის ხეობის მოსახლეობა 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შრომები ტომი I(VII), 2019.
25. საქართველოს ისტორიის ნარკვევები_ტომი IV ნაწილი II, 1973.
26. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბილისი, მეცნიერება, 1974.

27. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. - ტომი 1 - ბატონყმური ურთიერთობა. [XV-XVIII ს.ს] - ნ.ბერძენიშვილის რედაქტორობით - სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამომცემლობა - თბილისი - 1940
28. ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981
29. ქართულისამართლისძეგლები - ტომი II - საეროსაკანონმდებლოძეგლები (X-XIX სს.) - ტექსტებიგამოსცა, შენიშვნებიდასაძიებლებიდაურთოპროფ. ი. დოლიძემ - თბილისი 1965
30. ახლოური დ., ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, 2020
31. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში ტომი პირველი, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.
32. ახლოური დ., საფერშეთი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში (ხელნაწერი)
33. Акты, собранные кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868.
34. გორისისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, N7486
35. დოკუმენტებისაქართველოსსოციალურიისტორიიდან. - ტომი 1 - ბატონყმურიურთიერთობა. [XV-XVIII ს.ს.] - ნ.ბერძენიშვილის რედაქტორობით - სსრკმეცნ. აკად. საქ. ფილიალისგამომცემლობა - თბილისი - 1940